

სააქციო საზოგადოება „ელმავალშენებელი“



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა,

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2018 წ.

სს „ელმავალშენებელი“

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა;
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში;
3. სრული შემოსავლების ანგარიში;
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში;
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
6. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;
7. მმართველობის ანგარიშგება.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ელმავალშენებელი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ელმავალშენებელი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „ელმავალშენებელი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სს „ელმავალშენებელი“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მოვითხოვეთ გამოვლენილი უზუსტობის შესწორება. ბასს 16-ის შესაბამისად, სს „ელმავალშენებელი“-ს მიერ მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ჩატარებული იქნა ბალანსზე რიცხული აქტივების (უძრავ-მოძრავი ქონების) გადაფასება, აქტივების რეალური ღირებულების დადგენის მიზნით. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი იყო და სწორად არის გაკეთებული. ჩვენ არ ვიყავით დანიშნული სს „ელმავალშენებელი“-ს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე

რაიმე პროცედურების ჩასატარებლად და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს „ელმავალშენებელი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან სს „ელმავალშენებელი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და

არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „ელმავალშენებელი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს „ელმავალშენებელი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს „ელმავალშენებელი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს სს „ელმავალშენებელი“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

20 აგვისტო 2018 წელი

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)



20 აგვისტო 2018 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	50 759 872	43 858 219	46 978 055
არამატერიალური აქტივი	2	1 509 450	1 465 614	1 860 602
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3	7 496	235 790	431 816
ბიოლოგიური აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		52 276 818	45 559 623	49 270 473
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	10 929 020	11 160 711	11 288 380
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	5	23 663 192	36 416 454	26 712 423
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6	3 860	217 393	70 166
სულ მიმდინარე აქტივები		34 596 072	47 794 557	38 070 969
სულ აქტივები:		86 872 890	93 354 180	87 341 442
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		50 710 961	50 710 961	50 710 961
რეზერვები		15 314 375	2 776 145	2 776 145
რეინვესტირებული მოგება-ზარალი		-	7 900 161	7 900 161
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	16	(8 850 430)	11 231 042	12 507 067
სულ საკუთარი კაპიტალი		57 174 906	72 618 309	73 894 334
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	7	586 344	2 073 550	887 390
საგადასახადო ვალდებულებები	8	666 395	506 795	216 815
მოკლევადიანი სესხები		25 875 386	16 950 500	11 980 995
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2 569 859	1 205 026	361 908
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29 697 984	20 735 871	13 447 108
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		86 872 890	93 354 180	87 341 442

-

გენერალური დირექტორი

დავით გორგოძე

მთ. ბუღალტერი

რაულ შენგელია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	50,759,872	43,858,219	46,978,055
არამატერიალური აქტივი	2	1,509,450	1,465,614	1,860,602
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3	7,496	235,790	431,816
ბიოლოგიური აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		52,276,818	45,559,623	49,270,473
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	10,929,020	11,160,711	11,288,380
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	23,663,192	36,416,454	26,712,423
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6	3,860	217,393	70,166
სულ მიმდინარე აქტივები		34,596,072	47,794,557	38,070,969
სულ აქტივები:		86,872,890	93,354,180	87,341,442
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		50,710,961	50,710,961	50,710,961
რეზერვები		15,314,375	2,776,145	2,776,145
რეინვესტირებული მოგება-ზარალი		-	7,900,161	7,900,161
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	16	(8,850,430)	11,231,042	12,507,067
სულ საკუთარი კაპიტალი		57,174,906	72,618,309	73,894,334
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	586,344	2,073,550	887,390
საგადასახადო ვალდებულებები	8	666,395	506,795	216,815
მოკლევადიანი სესხები		25,875,386	16,950,500	11,980,995
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,569,859	1,205,026	361,908
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29,697,984	20,735,871	13,447,108
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		86,872,890	93,354,180	87,341,442



მთ. ბუღალტერი

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

დავით გორგოძე

რაულ შენგელია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფუნქციური
მეთოდით

		31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	10	3 666 102	20 518 532
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(4 202 751)	(14 908 010)
საერთო მოგება		(536 650)	5 610 521
სხვა შემოსავალი	12	5 617 618	7 249 432
კომერციული დანახარჯები	13	(1 741 090)	(1 769 011)
ადმინისტრაციული დანახარჯები	14	(4 015 131)	(5 136 170)
საპროცენტო ხარჯები		(3 495 118)	(2 657 656)
სხვა ხარჯები	15	(6 606 262)	(3 619 185)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(10 776 633)	(322 068)
მოგების გადასახადი		-	(151 410)
საანგარიშო წლის მოგება		(10 776 633)	(473 478)
სხვა სრული შემოსავალი			
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა	17	12 538 230	
სულ სხვა სრული შემოსავალი		12 538 230	-
სულ საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი		1 761 597	(473 478)

გენერალური დირექტორი

დავით გორგოძე

მთ. ბუღალტერი

რაულ შენგელია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფუნქციური
მეთოდით

		12/31/2017	12/31/2016
ამონაგები	10	3,666,102	20,518,532
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(4,202,751)	(14,908,010)
საერთო მოგება		(536,650)	5,610,521
სხვა შემოსავალი	12	5,617,618	7,249,432
კომერციული დანახარჯები	13	(1,741,090)	(1,769,011)
ადმინისტრაციული დანახარჯები	14	(4,015,131)	(5,136,170)
საპროცენტო ხარჯები		(3,495,118)	(2,657,656)
სხვა ხარჯები	15	(6,606,262)	(3,619,185)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(10,776,633)	(322,068)
მოგების გადასახადი		-	(151,410)
საანგარიშო წლის მოგება		(10,776,633)	(473,478)
სხვა სრული შემოსავალი			
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა	17	12,538,230	
სულ სხვა სრული შემოსავალი		12,538,230	-
სულ საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი		1,761,597	(473,478)



გენერალური დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით გორგოძე

რაულ შენგელია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	რეინვესტირებუ ლი მოგება/ზარალი	გაუნაწილებელი მოგება- ზარალი	სულ
31.12.2015 წაშთი	16	<u>50 710 961</u>	<u>2 776 146</u>	<u>7 900 161</u>	<u>12 507 067</u>	<u>73 894 334</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-		-	-	-
მოგების რეინვესტირება ზრდა/შემცირება		-		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება					(802 547)	(802 547)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		-		-	(473 479)	(473 479)
31.12.2016 წაშთი		<u>50 710 961</u>	<u>2 776 146</u>	<u>7 900 161</u>	<u>11 231 041</u>	<u>72 618 309</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-		-	-	-
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება	17		12 538 230			12 538 230
მოგების რეინვესტირება ზრდა/შემცირება		-		(7 900 161)	7 900 161	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება					(17 204 999)	(17 204 999)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		-		-	(10 776 633)	(10 776 633)
31.12.2017 წაშთი		<u>50 710 961</u>	<u>15 314 376</u>	<u>0</u>	<u>(8 850 430)</u>	<u>57 174 907</u>

გენერალური დირექტორი

დავით გორგოძე

მთ. ბუღალტერი

რაულ შენგელია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	რეინვესტირებუ ლი მოგება/ზარალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
<u>31.12.2015 წაშთი</u>	16	<u>50,710,961</u>	<u>2,776,146</u>	<u>7,900,161</u>	<u>12,507,067</u>	<u>73,894,334</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-		-	-	-
მოგების რეინვესტირება ზრდა/შემცირება		-		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება					(802,547)	(802,547)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		-		-	(473,479)	(473,479)
<u>31.12.2016 წაშთი</u>		<u>50,710,961</u>	<u>2,776,146</u>	<u>7,900,161</u>	<u>11,231,041</u>	<u>72,618,309</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-		-	-	-
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება	17		12,538,230			12,538,230
მოგების რეინვესტირება ზრდა/შემცირება		-		(7,900,161)	7,900,161	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება					(17,204,999)	(17,204,999)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		-		-	(10,776,633)	(10,776,633)
<u>31.12.2017 წაშთი</u>		<u>50,710,961</u>	<u>15,314,376</u>	<u>0</u>	<u>(8,850,430)</u>	<u>57,174,907</u>



გენერალური დირექტორი

მთ. ბუღალტერი

[Handwritten signature]

[Handwritten signature] დავით გორგოძე

რაულ შენგელია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 პირდაპირი მეთოდით

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	4 295 987	24 657 169
მომწოდებელზე გადახდილი ფული	(8 595 652)	(21 924 954)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2 479 415)	(4 994 118)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:</i>	(6 779 080)	(2 261 903)
გადახდილი გადასახადები	(2 352 289)	(3 111 616)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(9 131 370)	(5 373 519)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(9 131 370)	(5 373 519)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	5 404 505	2 699 413
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3 820)	(102 458)
მიღებული პროცენტები		
<i>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	5 400 685	2 596 955
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		
მიღებული სესხები	10 831 339	48 649 663
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების დაფარვა	(3 757 640)	(43 344 935)
გადახდილი პროცენტები	(3 496 534)	(2 657 656)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	27 020	276 719
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(87 033)	-
<i>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	3 517 152	2 923 791
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(213 533)	147 227
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	217 393	70 166
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3 860	217 392

გენერალური დირექტორი

დავით გორგოძე

მთ. ბუღალტერი

რაულ შენგე ჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,295,987	24,657,169
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(8,595,652)	(21,924,954)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2,479,415)	(4,994,118)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	(6,779,080)	(2,261,903)
გადახდილი გადასახადები	(2,352,289)	(3,111,616)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(9,131,370)	(5,373,519)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>(9,131,370)</u>	<u>(5,373,519)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	5,404,505	2,699,413
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,820)	(102,458)
მიღებული პროცენტები		
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>5,400,685</u>	<u>2,596,955</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		
მიღებული სესხები	10,831,339	48,649,663
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების დაფარვა	(3,757,640)	(43,344,935)
გადახდილი პროცენტები	(3,496,534)	(2,657,656)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	27,020	276,719
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(87,033)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>3,517,152</u>	<u>2,923,791</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	<u>* (213,533)</u>	<u>147,227</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>217,393</u>	<u>70,166</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>3,860</u>	<u>217,392</u>



გენერალური დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით გორგოძე

რაულ შენგელია

განმარტებითი შენიშვნები და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მომსახურებისათვის აუდიტორულ ფირმასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 42 000 ლარზე დღე-ს გარეშე.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ელმავალმშენებელი“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, საქართველო, თბილისი გურამიშვილის გამზირი 84. საანგარიშგებო პერიოდისათვის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, იგორ ტუგაბაიშვილის (რუსეთის ფედერაცია) თავმჯდომარეობით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი გენადი ზოიარსკიხ (რუსეთის ფედერაცია) საზოგადოების ძირითადი აქციონერია (87%) ჰოლანდიური კომპანია ლოკოტრანს ჰოლდინგი, საქართველოს სახელმწიფო (12,76488%) შრომითი კოლექტივი (0,235121%) კომპანიის საქმიანობის მთავარი საგანია მაგისტრალური ელმავლების მშენებლობა, სამრეწველო (კოქსქრობი) ელმავლების მშენებლობა, მაგისტრალური და სამრეწველო ელმავლების სათადარიგო დეტალების და კვანძების დამზადება, მაგისტრალური ელმავლების კაპიტალური და აწვევითი შეკეთება, რკინიგზის ლიანდაგების მშენებლობისა და სარემონტო ტექნიკის კაპიტალური შეკეთება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის 2016-2017 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ის მიხედვით. შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა ფასს 1-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება) მოთხოვნები, კერძოდ: ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს როგორც შესადარის ინფორმაციას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფასს ნაშთებს 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც წარმოადგენს ფასს-ებზე გადასვლის თარიღს.

3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ამონაგების აღიარება

საქონლის/მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით. ამონაგები არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებული ღირებულების გადასახადს.

საწარმოს აქტივების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან მიღებული ამონაგები პროცენტის სახით აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

კომპანიის სასესხო სახსრები მოიცავს სესხებს საქართველოს ფინანსური დაწესებულებებიდან, სასესხო ვალდებულებები აღირიცხება მიმდინარე ღირებულებით, სასესხო ვალდებულების ჩამოწერე მოხდება მაშინ როდესაც მასთან დაკავშირებული ნაკისრი მოვალეობები შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება.

თუ არსებულ ვალდებულებას ჩანაცვლებს ამავე კრედიტორის მიმართ სხვა ვალდებულება არსებითად განსხვავებული პირობებით, ან თუ მოხდება არსებული ვალდებულების პირობების არსებითი შეცვლა, ამრიგად ჩანაცვლება ან ცვლილება ხორციელდება საწყისი ვალდებულების ჩამოწერით და ახალი ვალდებულების ასახვით, ხოლო სხვაობა შესაბამისი საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა (ეს თარიღი შემდგომში გადავადდა 2023 წლამდე).

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, მოგების გადასახადის არა ახალი რეჟიმით დაბეგრადი ურთიერთდამოკიდებულ პირთან არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, საწარმო ახდენს აქტივის ცვეთის გადახედვას და კორექტირებას, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მიმოხილვას, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მინიშნება, ხდება აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენითი ღირებულების შეფასება და მისი შედარება ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასთან. თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება აღდგენით ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შეფასებას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან მსგავსი ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით მის გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია მარაგის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან მსგავსი ერთეულების ჯგუფი) გაუფასურდა, მათი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება მარაგის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდებში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსაცია, აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის ახალ შეფასებულ აღდგენით ღირებულებამდე (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში, დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე), მაგრამ ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს თანხას, რომლითაც შეფასებული იქნებოდა აქტივი, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) გაუფასურების აღიარება წინა პერიოდებში. გაუფასურების ზარალის კომპენსაცია დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც კომპანიას აქვს ისეთი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა დანარჩენ შემთხვევებში საოპერაციო იჯარად.

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, გარიგება კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად, კომპანიის იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯებად შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგები ბალანსზე აღირიცხება შემენის, ტრანსპორტირების, გადამუშავების, შრომის და სხვა პირდაპირი დანახარჯების ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდების უდიდეს ნაწილს საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცემელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და მისი ჩართვა ხდება ფინანსურ დანახარჯებში.

ძირითადი საშუალებები					შენიშვნა 1 (ლარი)		
	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	აფასების ღირებულება- გაუფასურები ს ღირებულება	ცვეთის ელიმინირება	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.16
	აფასებული ღირებულება						
1	მიწა	31636481				2323564	33960046
2	შენობები	11180060	7773847	17794909		1488395	22689517
3	მანქანა დანადგარები	6824265	3599620	13665110	1470	300395	17188680
4	ოფისის აღჭურვილობა	596167	453087	1790622	9772	6707	1930637
5	ავეჯი და ინვენტარი	137781	83809	374470	1703	234	426973
6	სატრანსპორტო საშუალება	329600	271901	699453		5029	762181
7	სხვა ძირ. საშუალებები	300	(339)	3121			3760
8	სხვა ძირ. საშუალებები	55217	(78 779)		286063	717995	565929
	ჯამი	50 759 872	12 103 147	34 327 686	299 008	4 842 318	77 527 722
	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17		ცვეთის ელიმინირება	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.16
	ცვეთა						
1	შენობები	0		17794909	1283302	1266511	17778119
2	მანქანა დანადგარები	0		13665110	733346	293427	13225191
3	ოფისის აღჭურვილობა	0		1790622	136622	6606	1660606
4	ავეჯი და ინვენტარი	0		374470	30041	203	344632
5	სატრანსპორტო საშუალება	0		699453	46170	4870	658153
6	სხვა ძირ. საშუალებები	0		3121	320		2801
	ჯამი	0		34327686	2229800	1571617	33669502
	საბალანსო ღირებულება	50759872					43 858 219

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით აქტივების ბალანსში ასახულია გადაფასებული ღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულება გაიზარდა 13091389 ლარით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. შესაფასებელი აქტივების ნაწილის ღირებულება შემცირდა 988243 ლარით და აღიარებულია სხვა ხარჯებში ზარალის სახით.

ძირითადი საშუალებები რომ არ გადაფასებულიყო, ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იქნებოდა 72984412 ლარი, ხოლო დაგროვილი ცვეთა შეადგენდა 34327686 ლარს. სესხი აღებულია ფინანსური ბანკისგან და უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანზე რიცხული ძირითადი საშუალებებით

ცვეთის ნორმისა და ხარჯის დასადგენად ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადა:

შენობები	15-20 წელი
მანქანა დანადგარები	3-5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5 წელი

შენიშვნა 2

არამატერიალური აქტივები

(ლარი)

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	აფასების ღირებულება	ცვეთის ელიმინირება	ნაშთი 31.12.16
აფასებული ღირებულება				
1 საბუღ. პროგ. 1 ს უზრუნველყოფა	1 200 000	129 074	1 426 906	2 497 832
2 ლიცენზია ვლ 11 მ 6	72 000	72 000	118 753	118 753
3 საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია	120 000	120 000	212 900	212 900
4 ლიცენზია სხვა სათადარიგო ნაწილების	117 450	114 009	159 057	162 498
ჯამი	1 509 450	435 083	1 917 616	2 991 983

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	ცვეთის ელიმინირება	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.16
ამორტიზაცია				
1 საბუღ. პროგ. 1 ს უზრუნველყოფა	-	1 426 906	389 821	1 037 085
2 ლიცენზია ვლ 11 მ 6	-	118 753		118 753
3 საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია	-	212 900		212 900
4 ლიცენზია სხვა სათადარიგო ნაწილების	-	159 057	1 426	157 631
ჯამი	-	1 917 616	391 248	1 526 368
საბალანსო ღირებულება	1 509 450	(1 482 533)	1 526 368	1 465 614

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია გადაფასებული ღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 3

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადასახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადასახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების საბალანსო ღირებულებების საანგარიშგებო თარიღისათვის გადასინჯვის შედეგად მოხდა მათი ანულირება. კერძოდ ხარჯად აღიარებული იქნა 49968 ლარი.

შენიშვნა 4

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 მატერიალური მარაგი	6 189 375	6 459 122
2 მარაგები დაუმთავრებელი წარმოების და ნახევარფაბრიკატები	1 961 912	2 786 527
3 მზა პროდუქცია	121 113	34 521
4 საწარმოო - ზედნადები ხარჯები (დაუმთავრებელ წარმოებაში)	2 053 566	1 255 331
5 ინსტუმენტები, სპეცტანსაცმელი, ინვენტარი, ყალიბები	603 054	625 210
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	10 929 020	11 160 711

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 მოთხოვნები მიწოდებიდან	21 158 367	23 340 062
3 გადახდილი ავანსები	2 433 589	12 976 274
4 მოთხოვნები საწარმოს პერსონალთან	19 465	7 973
6 სხვა დარიცხული მოთხოვნები	51 771	92 145
ჯამი	23 663 192	36 416 454

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	2 127	16 282
2 ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	-	198 832
3 ფული საღარიბოში	1 733	2 279
ჯამი	3 860	217 393

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	432 635	287 510
2 ვალდებულება მყიდველებთან	153 709	1 786 040
3 ვალდებულება ჯარიმებით და საურავებით	-	-
ჯამი	586 344	2 073 550

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 მოგების გადასახადი		
2 საშემოსავლო გადასახადი	87 243	131 828
3 დღგ - გადასახადი	494 559	374 968
4 ქონების გადასახადი	84 593	
5 დანარჩენი საგადასახადო ვალდებულება		
ჯამი	666 395	506 795

შენიშვნა 9

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1 შრომის ანაზღაურების ვალდებულება	323 574	585 691
2 ვალდებულება პერსონალის წინაშე	3	40
3 გადასახდელი დივიდენდი	2 246 282	619 295
ჯამი	2 569 859	1 205 026

შენიშვნა 10

ამონაგები

(ლარი)

დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1 შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	3 640 625	20 496 234
2 შემოსავალი სასტუმროდან	25 476	22 298
ჯამი	3 666 102	20 518 532

		შენიშვნა 11	
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(ლარი)	
	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ხარჯი	1 595 810	8 609 124
2	პირდაპირი ხელფასის ხარჯი	285 432	1 333 320
3	შემენილი მომსახურების ხარჯი	228 820	488 785
4	სხვა საოპერაციო ხარჯი	2 092 690	4 476 781
	ჯამი	4 202 752	14 908 010

		შენიშვნა 12	
სხვა შემოსავალი		(ლარი)	
	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	ბანკიდან მიღებული პროცენტი - %	-	6
2	ჯართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	295 405	649 331
3	მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	128 163	
5	დადებითი საკურსო სხვაობა	896 127	3 690 120
6	საიჯარო შემოსავლები	56 598	90 968
7	ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი	20 843	5 646
8	შემოსავალი დაკავებული ხელფასებიდან		593
9	ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან მიღებული შემოსავალი	28 745	28 697
10	ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	4 164 089	2 774 518
11	კრედიტორული ვალდებულების ჩამოწერა	26 912	222
13	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	735	9 331
	ჯამი	5 617 618	7 249 432

		შენიშვნა 13	
კომერციული დანახარჯი		(ლარი)	
	დასახელება	2017 წელი	2016 წელი
1	რეკლამის ხარჯი	12 279	35 373
2	საგარანტიო ხარჯი	1 372 746	1 402 902
3	მიწოდების ტრანსპორტირების ხარჯი	356 065	330 736
#	ჯამი	1 741 090	1 769 011

		შენიშვნა 14	
ადმინისტრაციული დანახარჯი		(ლარი)	
დასახელება		2017 წელი	2016 წელი
1	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ხარჯი	114 713	162 888
2	შრომის ანაზღაურების ხარჯი	1 645 313	2 776 530
3	შემენილი მომსახურების ხარჯი	1 120 622	1 010 702
4	ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	878 418	909 012
5	საგადასახადო (ქონება, მიწა) ხარჯები	193 502	222 589
6	სხვა ხარჯი	62 564	54 449
	ჯამი	4 015 131	5 136 170

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპესაცია			
დასახელება		2017 წელი	2016 წელი
	მოსამსახურეთა მოკლევადიანი სარგებელი (ხელფასი)	261 935	441 501

		შენიშვნა 15	
სხვა ხარჯები		(ლარი)	
დასახელება		2017 წელი	2016 წელი
1	დებიტორული მოთხოვნების ჩამოწერა	766 691	314 205
2	ბანკის მომსახურება	133 597	284 153
3	უარყოფითი საკურსო სხვაობა	2 539 475	700 213
4	ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი	423	126 218
5	გადახდილი ჯარიმები და საურავების ხარჯი	2 402	500
6	ჩამოწერილი აქტივების ხარჯი	3 106 724	2 055 654
7	სხვა ხარჯი	56 950	138 243
	ჯამი	6 606 262	3 619 185

		შენიშვნა 16		
გაუნაწილებელი მოგება - ზრალი		(ლარი)		
დასახელება		ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	(8 908 125)	11 231 042,06	12 507 067
2	ცვეთის თანხის კორექტირება	(3 419,66)		
3	ქონების გადასახადის დარიცხვა	(49)		
4	სხვა კორექტირებები	61 163,53		
	ნაშთი ცვლილების შედეგ	(8 850 430)	11 231 042	12 507 067

		შენიშვნა 17	
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა		(ლარი)	
დასახელება		2017 წელი	2016 წელი
1	გადაფასების ნამეტის საერთო ღირებულება	13 526 472	
2	გადაფასების ნამეტის შემცირება ცვეთის პროპორციულად	(988 243)	
3	გადაფასების ნამეტის ნაშთი	12 538 230	-

გენერალური დირექტორი

დავით გორგოძე

მთ. ბუღალტერი

რაულ შენგელია

		შენიშვნა 14 (ლარი)	
ადმინისტრაციული დანახარჯი		2017 წელი	2016 წელი
დასახელება			
1	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ხარჯი	114,713	162,888
2	შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,645,313	2,776,530
3	შეძენილი მომსახურების ხარჯი	1,120,622	1,010,702
4	ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	878,418	909,012
5	საგადასახადო (ქონება, მიწა) ხარჯები	193,502	222,589
6	სხვა ხარჯი	62,564	54,449
ჯამი		4,015,131	5,136,170

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპენსაცია		2017 წელი	2016 წელი
დასახელება			
	მოსამსახურეთა მოკლევადიანი სარგებელი (ხელფასი)	261,935	441,501

		შენიშვნა 15 (ლარი)	
სხვა ხარჯები		2017 წელი	2016 წელი
დასახელება			
1	დებიტორული მოთხოვნების ჩამოწერა	766,691	314,205
2	ბანკის მომსახურება	133,597	284,153
3	უარყოფითი საკურსო სხვაობა	2,539,475	700,213
4	ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი	423	126,218
5	გადახდილი ჯარიმები და საურავების ხარჯი	2,402	500
6	ჩამოწერილი აქტივების ხარჯი	3,106,724	2,055,654
7	სხვა ხარჯი	56,950	138,243
ჯამი		6,606,262	3,619,185

		შენიშვნა 16 (ლარი)		
გაუნაწილებელი მოგება - ზრალი		ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
დასახელება				
1	საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	(8,908,125)	11,231,042.06	12,507,067
2	ცვეთის თანხის კორექტირება	(3,419.66)		
3	ქონების გადასახადის დარიცხვა	(49)		
4	სხვა კორექტირებები	61,163.53		
ნაშთი ცვლილების შედეგ		(8,850,430)	11,231,042	12,507,067

		შენიშვნა 17 (ლარი)	
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა		2017 წელი	2016 წელი
დასახელება			
1	გადაფასების ნამეტის საერთო ღირებულება	13,526,472	
2	გადაფასების ნამეტის შემცირება ცვეთის პროპორციულად	(988,243)	
3	გადაფასების ნამეტის ნაშთი	12,538,230	-



გენერალური დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით გორგოძე

რაულ შენგელია

სააქციო საზოგადოება „ელმავალშენებელი“



მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

ქ.თბილისი
2017 წ.

**ს.ს. „ელმაგალმშენებლის“ გენერალური დირექტორის
2017 წლის საწარმოო-ფინანსური
საქმიანობის ანგარიში**

2017 წელს ს.ს. „ელმაგალმშენებლის“ სამეურნეო საქმიანობის სწორი მიმართულების განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები იყო:

- გამოსაშვები პროდუქციის მოცულობისა და მისი ნომენკლატურის გაზრდისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- საზოგადოების საწარმოო შესაძლებლობების რაციონალური დატვირთვის გამოყენების ხარჯზე პროდუქციის ხარისხის ამაღლების ტენდენცია;
- მუშა-მოსამსახურეთა უსაფრთხოებისათვის პირობების შექმნა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება;
- ძირითადი ფონდების და წარმოების საშუალებების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ხარისხობრივი და მოცულობითი მაჩვენებლების ამაღლება;
- ახალი პარტნიორების მოზიდვა ურთიერთხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით;
- წარმოების განვითარებისათვის ყველა შესაბამისი აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

2017 წლის დასაწყისში, ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებისათვის, ყველა ქვედანაყოფის მიერ დამუშავებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები და გაფორმდა ხელშეკრულებები ს.ს. „ელმაგალმშენებლის“ პროდუქციის ძირითად მომხმარებლებთან.

2017 წელს პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციისათვის გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზასთან“; სამხრეთ კავკასიის რკინიგზასთან (ЮКЖД); უკრაინის სამთო გამამდიდრებელ კომბინატთან და სხვა;

ამ ხელშეკრულებების საფუძველზე პროდუქციის დამზადების და გამოშვების უზრუნველყოფისათვის კომერციულმა ქვედანაყოფებმა გააფორმეს შესაბამისი ხელშეკრულებები მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების ძირითად მომწოდებლებთან.

2017 წელს სს „ელმაგალმშენებლის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სარემონტო ელმავლების, ელმავლების კვანძების და სათადარიგო ნაწილების წარმოება.


2017 წლის განმავლობაში სს „ელმაგალმშენებელმა“ განახორციელა 3 640.6 ათასი ლარის პროდუქციის რეალიზაცია.

სულ საანგარიშო პერიოდში:

1. საქართველოს რკინიგზისთვის განხორციელდა 1 ერთეული ელექტრომავლის კაპიტალური რემონტი და დამზადდა ელექტრომავლის სათადარიგო ნაწილები საერთო თანხით 1 943.10 ათასი ლარი. ელექტრომავალი და სათადარიგო ნაწილები გადატვირთულია სს „საქართველოს რკინიგზაში“;


2. თანამეგობრობის დამოუკიდებელ ქვეყნებში (CH7) – გადატვირთულია სათადარიგო ნაწილები საერთო თანხით 1 163.9 ლარი;
 3. სამხრეთ კავკასიის რკინიგზისთვის განხორციელდა 12 ერთეული ელ. ძრავის კაპიტალური რემონტი საერთო თანხით 405, 6 ათასი ლარი;
 4. სხვა მცირე შეკვეთები 128 ათასი ლარი;
- ზემოთ აღნიშნული მონაცემები, წინა წლებთან შედარებით გრაფიკულად ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:
- 2007÷2017 წლებში გადატვირთული პროდუქცია ამერიკულ დოლარში:

№	საქ. რკინიგზა	ექსპორტი (ელმავლები)	ექსპორტი (სათ. ნაწილები)	შიდა შეკვეთები	ჯამი
2007	8 637 290,65	7 439 200,00	3 394 696,72	36 550,73	19 507 738,10
2008	4 189 941,52	28 977 531,00	2 054 908,38	37 470,00	35 259 850,90
2009	8 117 933,30	13 336 735,49	522 572,92	22 362,32	21 999 604,03
2010	8 831 672,49	17 889 701,00	820 541,42	15 223,80	27 557 138,71
2011	16 945 252,37	7 450 000,00	2 052 800,48	26 661,36	26 474 714,21
2012	16 059 946,95	16 290 163,24	1 330 227,99	12 348,00	33 692 686,18
2013	12 241 367,72	28 350 000,00	230 673,87	13 323,06	40 835 364,65
2014	67 302,24	22 050 000,00	232 095,02	14 459,56	22 363 856,82
2015	6 882 379,73	14 600 000,00	73 651,44	78 186,77	21 634 217,94
2016	3 168 048,85	3 790 000,00	1 307 668,30	5 970,47	8 271 687,62
2017	721 984,68	-	568 909,58	49 530,82	1 340 425,08



2007÷2017 წლებში გადატვირთული პროდუქცია ლარებში:

№	საქ. რკინიგზა	ექსპორტი (ელმავლები)	ექსპორტი (სათ. ნაწილები)	შიდა შეკვეთები	ჯამი
2007	14 541 970,83	12 044 846,20	5 650 418,43	60 966,16	32 298 201,62
2008	6 737 716,00	42 400 087,00	2 998 782,85	62 188,11	52 198 773,96
2009	13 528 165,93	22 339 280,14	901 901,45	36 786,02	36 806 133,54
2010	15 768 254,11	32 027 932,56	1 484 590,35	26 581,52	49 307 358,54
2011	28 464 403,05	12 335 575,00	3 429 602,06	44 871,60	44 274 451,71
2012	26 502 074,04	21 373 456,09	1 330 227,99	20 498,00	49 226 256,12
2013	20 041 372,57	47 281 185,00	384 529,80	21 790,29	67 728 877,58
2014	119 155,92	38 551 590,00	405 054,37	25 716,29	39 101 516,58
2015	15 871 238,40	35 336 380,00	169 084,67	156 927,77	51 533 630,84
2016	8 175 000,00	8 902 310,00	3 147 180,93	15 508,18	20 239 999,11
2017	1 983 203,06	-	1 541 801,11	94 087,73	3 619 091,90



2017 წელს კომერციული სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულმა შესყიდვების განყოფილებამ აღნიშნული პროდუქციის გამოსაშვად შეიძინა მასალა-მაკომპლექტებელი საერთო თანხით 938 271,00 ლარი. მათ შორის ადგილობრივ ბაზარზე 160 155,00 ლარის მასალა-მაკომპლექტებელი, ხოლო ქვეყნის გარედან შემოტანილი იქნა 778 116,00 ლარის მასალა-მაკომპლექტებელი ნაწილები.

გაფორმებული კონტრაქტების შესაბამისად მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების შესყიდვა ხორციელდებოდა ჩვენი ტრადიციული მომწოდებლისგან. 2017 წელს ისევე, როგორც 2016 წელს, საქართველო-

რუსეთის პოლიტიკური დამოკიდებულების გართულების ფონზე, შესყიდული მასალა-მაკომპლექტების ტრანსპორტირება გვიწევდა მე-3 ქვეყნის გავლით, რუსეთ-უკრაინა-საქართველო, ილიჩევსკის, ბათუმის და ფოთის საზღვაო პორტის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესით იზრდებოდა მასალების თვითღირებულება, საზოგადოების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულდა.

საზოგადოებაში შემოტანილი ყველა მასალის ნიმუშები, წარმოებაში გაშვებამდე გატანილია აუცილებელ ლაბორატორიულ შემოწმებაზე და მხოლოდ ლაბორატორიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში გადაეცემოდა მასალები წარმოებაში, რაც საშუალებას გვაძლევდა წუნიან პროდუქციაზე ოპერატიული რეაგირების განხორციელებისათვის.

ავტომატური მართვის სისტემების გამოყენების გზით, ავტომატურად ხდებოდა საწყობებში არსებული მარაგის და მასალების დეფიციტის განსაზღვრა. ავტომატიზირებულია ძირითად საწყობებში არსებული ნარჩენების რეზერვირება, რაც მნიშვნელოვნად გვეხმარება მასალების დეფიციტის განსაზღვრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი შეკვეთის გაგზავნის წინ წარმოებასთან ერთად ხორციელდებოდა შესაკვეთი მასალების ნომენკლატურის და რაოდენობის კონტროლი, იმისათვის, რომ მთლიანად გაგვეთვალისწინებინა ჩვენ შეკვეთებში საამქროებში არსებული ნარჩენები და ნახევარფაბრიკატები.

ჩატარებული სამუშაოს დადებითი ეფექტის თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ, IC8 პროგრამიდან ამოღებული, 31.12.2016წ., 31.12.2017წ. მდგომარეობით საწყობებში არსებული მარაგის მოცულობების მონაცემებს.

მონაცემები მოყვანილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში.

№	საწყობის დასახელება	საწყისი პერიოდი 31.12.2016 (ლარი)	საბოლოო პერიოდი 31.12.2017 (ლარი)
1	საწყობი №1	1 424 573.40	1 403 548.38
2	საწყობი №2	1 178 878.61	1 091 744.52
3	საწყობი №3	332 784.90	269 318.23
4	საწყობი №4	657 313.84	712 993.39
5	საწყობი №6	615 249.72	612 553.53
6	საწყობი №9	1 608 132.67	1 489 338.97
სულ:		5 816 933.14	5 579 497.02

აღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცენტრალური საწყობების ნაშთები შემცირდა 266 748,36 ლარით, რაც წარმოადგენს საწყისი ნაშთის თითქმის 4.1%-იან კლებას. უნდა აღინიშნოს, რომ 15.12.2017 წელს ბელორუსიის კომპანია „ავტოპროვოდი“-დან

მიღებული იქნა საკაბელო პროდუქცია თანხით 92 176,91 ლარის ОПЭ-1 AM პროექტისათვის.

ავტომატიზირებული გახდა საამქროების მიერ მასალის მოთხოვნა-ზედღებული ფურცლის გამოწერა და მისი დამოწმება პასუხისმგებელი პირების მიერ, რაც გვიაღვილებს კონკრეტული და ცალკეული პროექტების მიხედვით მასალების ნორმირებულ გაცემას საამქროებზე.

საანგარიშო პერიოდში ვთანამშრომლობდით და მასალა-მაკომპლექტებლებს ვღებულობდით, როგორც ჩვენი ტრადიციული მომწოდებლებიდან, ასევე განვახორციელეთ მოწოდების ბაზრის დიფერენცირება. კერძოდ, გაფორმებული იქნა პირდაპირი ხელშეკრულება კომპანია „ЭПК“-სთან, რომელიც წარმოადგენს ლიდერს ბაზარზე, საკისრების დამზადებაში. ასევე გაფორმდა პირდაპირი ხელშეკრულება ბელორუსიის კომპანია „ავტოპროვოდ“-თან, საიდანაც მიღებულმა საკაბელო პროდუქციამ მოგვცა ეკონომია 1,5-ჯერ თანხობრივ გამოსახულებაში და 2-ჯერ წარმოებაში შემოტანით.

კომერციული სამსახურის მარკეტინგის განყოფილების როლს და მიზანს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენდა: გაფორმებული აქტების საფუძველზე დროული და ოპერატიული გადატვირთვა დამზადებული პროდუქციის, კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტება, ელექტრომავლების საგამოცდო გარბენების თავისდროული ორგანიზაცია და დაგეგმვა, საქ. რკინიგზის ელექტრომავლებზე ყველა საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება, აუქციონებზე და ტენდერებზე მონაწილეობისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სარეკლამო მასალების დამზადება და პრეზენტაციის ღონისძიებების ორგანიზაცია.

საბაჟო სამსახურის სპეციალისტის მუშაობა დახვეწილია და ოპერატიულად ხორციელდება. იმპორტ-ექსპორტის განბაჟება თავისდროულად ხორციელდებოდა საანგარიშო პერიოდში, ყველა აუცილებელი დოკუმენტის დროული წარდგენით.

წარმატებით მუშაობდა კომერციული სამსახურის საგეგმო-ეკონომიური სექტორი, მენეჯერებთან ერთად, მასალების და მაკომპლექტებლების მოთხოვნის განსაზღვრისა და თავისდროულად შეკვეთისათვის, საამქროებისათვის მასალების დროულად გამოწერისათვის და საამქროებში მასალების აღრიცხვაზე აყვანის ოპერატიულობისა და სიზუსტეში.

კომერციულ სამსახურში განხორციელდა საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი თანხების ეკონომიის განხორციელება.

წარმოების რითმული მუშაობისათვის დიდია სატრანსპორტო საამქროს წილი. ოპერატიულად მუშაობდა შიდა ტრანსპორტი, კერძოდ: ავტომობილები, ელექტროკარები და თბომავალი. დროულად ხდებოდა მიღებული და გასაგზავნი მასალების დაცლა-დასაწყობება და სარკინიგზო ხაზის სარემონტო სამუშაოების ხარისხიანდ ჩატარება. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში რკინიგზის ლიანდაგების რემონტისთვის, სატრანსპორტო საამქროს ძალებით ძველი გაუქმებული ლიანდაგის დემონტაჟის დროს ამოღებული იქნა 120 შპალი, რომლებიც გამოყენებული იქნა მომქმედი რკინიგზის უბნების აღსადგენად.

საანგარიშო პერიოდში გადაიტვირთა 310 496,63 ლარის ღირებულების ფერადი ლითონის ჯართი. ასევე აღნიშნულ პერიოდში გადაიტვირთა 146 214,82 ლარის ღირებულების შავი ლითონის ჯართი.

2017 წლის საფინანსო-ეკონომიური ანალიზი:

ს.ს. „ელმაგალმშენებელმა“ 2017 წელს აწარმოა 3 544.7 ათასი ლარის მზა პროდუქცია, მოცემულ პერიოდში რეალიზებული იქნა 3 513.40 ათ. ლარის მზა პროდუქციის ნაწარმი, (მათ შორის ექსპორტი 1572.4 ათ. ლარი ანუ 44.75%) მომუშავეთა საშუალო სიობრივმა რიცხვმა შეადგინა 884 ერთეული, შრომის ნაყოფიერებამ შეადგინა 4.0 ათ. ლარი.

2017 წელს მუშა-მოსამსახურეებზე დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 2 857.5 ათასი ლარი. 2016 წელს დარიცხული იყო 6 724.6 ათ. ლარის ხელფასი. საანგარიშო პერიოდში საშუალო ხელფასმა შეადგინა 269.4 ლარი. 2016 წელს შეადგენდა 558 ლარს.

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული იქნა 2 342.9 ათ. ლარი.

2017 წელს საბალანსო ზარალმა შეადგინა 10 771.9 ათ. ლარი. 2016 წელს მიღებული იყო 473.5 ათ. ლარის ზარალი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა მატერიალურ ფასეულობათა ნაწილობრივი ინვენტარიზაცია საზოგადოების მასშტაბით, ინვენტარიზაციის პერიოდში რაიმე სერიოზული დარღვევა არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოება თავის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონით, ანგარიშების წარმოება ხდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) გამოყენებით.

საფინანსო აღრიცხვა აგებულია ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე, იგი ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს და პრინციპებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი.

სასაქონლო მატერიალური ნედლეულის, მასალების და მაკომპლექტებელი ნაწილების ნაშთი 01.01.18 წლის მდგომარეობით შეადგენს 10 926 930 ლარს.

2017 წლის დანახარაჯები მუხლების მიხედვით ნაჩვენებია № 1 ცხრილში:

№	დანახარაჯების მუხლები	2017 წელი
1	შრომის დანახარაჯები	2 857 564
2	მასალები	1 100 982.84
3	კომუნალური გადასახადები	392 418
4	კომუნიკაცია	21 120
5	მივლინება	65 412
6	ცვეთა და ამორტიზაცია	2 612 694
7	ბანკის მომსახურება	133 172
8	რეკლამის ხარჯი	12 279.05
9	ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	102 327.07
10	საგარანტიო მომსახურება	1 372 746.13
11	მიწოდების ხარჯები	253 738.10
12	წარმომადგენლობითი ხარჯები	26 141
13	ბიუჯეტის გადასახადი (ქონება, მიწა, მოგება)	193 453
14	დაცვის ხარჯები	29 304
15	ბანკის დარიცხული პროცენტი	3 495 118
16	უარყოფითი საკურსო სხვაობა	2 535 304
17	პროგრამული უზრუნველყოფა	653 663.73

18	იურიდიული მომსახურება	119 072.58
19	სხვადასხვა აუდიტორ. მომსახურება და კონსულტაცია	83 369.41
20	ქველმოქმედება	35 014.25
21	დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	750 045.49
22	ჯარითის ჩამოწერის ხარჯი	132 888.66
23	რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	2 991 794.99
24	ჯარიმა, საურავი	2 402.38
25	სხვადასხვა ხარჯი	33 250.71
ჯამი:		20 005 275.39

ს.ს. „ელმაგალმშენებელი“-ს საერთო შემოსავალმა 2017 წელს შეადგინა სულ 9 228.6 ათ. ლარი, მათ შორის: მზა პროდუქციის რეალიზაციიდან 3 640.6 ათ. ლარი, მასალების და ჯარითის რეალიზაციიდან 240.3 ათ. ლარი. უძრავი ქონების რეალიზაციიდან 4 164.1 ათ. ლარი, დადებითი საკურსო სხვაობიდან შემოსავალი 896.1 ათ. ლარი, საიჯარო შემოსავალი 56.6 ათ. ლარი, სასტუმროს მომსახურების 25.5 ათ. ლარი და სხვა შემოსავლები 203.8 ათ. ლარი.

დებიტორული დავალიანება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა **23 663 192.33** ლარს. რაც მოცემულია № 2 ცხრილში:

№	ორგანიზაციის დასახელება	თანხა-ლარი
1	კომპანია „პეპეი ჰონგ და თრედინგ“ ჩინეთი	177 785.56
2	ადვოკატი მ. შოშიაშვილი	3 750
3	საქართველოს სახელმწიფო ხაზინა	5 000
4	შ.პ.ს. „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“	125
5	სერთიფიცირების ორგანო ქ. ხარკოვი	8 395.45
6	სსიპ საქართველოს ფინანსთა მომსახურების სააგენტო	200
7	ი.მ. თეთრაშვილი ბესიკი	627
8	კომპანია „სამჭედლო-მექანიკური ქარხანა“ ქ. ლაზოვა	238 540.89
9	კომპანია „კრისმონ ლიმიტედი“	20 761 313.11
10	შ.პ.ს. „უნივერსალი“	1 968
11	ს.ს. „ჯეოსელი“	1998.60
12	შ.პ.ს. „მაგთიკომი“	3 689.44
13	შ.პ.ს. „ორიენტ-ლოჯიკი“	194.99
14	პოლტავას ტურბო მექანიკური ქარხანა	152 492.89
15	კომპანია „ვაილანტი“	1 339 935.05
16	მეტროლოგთა ეროვნული სააგენტო	646
17	კომპანია „ტაქტ მეტალი“ უკრაინა, ქ. კიევი	2040.98
18	კომპანია „ტასიმო ინვესტ“	916 950.67
19	საქართველოს რკინიგზის სატრანსპორტო მომსახურება	1 845.93
20	შ.პ.ს. „ინტელექტ აუდიტი“	24 780
21	მუშა-მოსამსახურეთა დავალიანება	19 464.92
22	შ.პ.ს. „მობიტელი“	1 209.90
23	ზაური გაბაიძე ფ.პ.	30.83
24	ბაქოს ლითონსაკონსტრუქტორო ქარხანა	107.12
25	საგადასახადო ინსპექცია	100
ჯამი		23 663 192.33

კრედიტორული დავალიანება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 29 690 488.33 ლარს, რაც მოცემულია № 3 ცხრილში:

№	ორგანიზაციის დასახელება	თანხა-ლარი
1	შ.პ.ს. „მაგთიკომი“	2 163.87
2	შ.პ.ს. „ახალი ქსელები“	1.50
3	შ.პ.ს. „ჯეოსელი“	794.23
4	შ.პ.ს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	15 405.59
5	შ.პ.ს. „ჯი ემ ჯგუფი“	450
6	შ.პ.ს. „ბონუსი“	214 943.50
7	შ.პ.ს. „ეაზტრანს გაზ თბილისი“	22 943.25
8	შ.პ.ს. „მერიდიან 44“	103 840
9	ს.ს. „საქართველოს რკინიგზა“	257.15
10	ქ. თბილისის დასუფთავების სამსახური	6 371.70
11	ს.ს. „თელასი“	39 445.83
12	მუშა-მოსამსახურეთა მიმართ დავალიანება	323 576.94
13	პროფკავშირი	5 106.24
14	შ.პ.ს. „ფარი“	490
15	ს.ს. „საქართველოს ბანკი“	25 875 385.90
16	საგადასახადო ვალდებულებები	658 899.19
17	გასაცემი დივიდენდ-ფიზიკური პირები	49 769.15
18	გასაცემი დივიდენდ -საქართველოს სახელმწიფო	2 196 197.60
19	გასაცემი დივიდენდ – ლოკო ტრანს ჰოლდინგი	315.01
20	ნოტარიუსი ნ. სიდამონიძე	18
21	ჯორჯიან ექსპრესი	132.32
22	ს.ს. ელექტროგოზმაში	20 258.66
23	შ.პ.ს. „ელმა 2008“	25 266
24	შ.პ.ს. „უნივერსალი“	4 248
25	ფ.პ. ზაურ გაბაიძე	124 195
26	შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“	13.50
	ჯამი:	29 690 488.33

2014 წლიდან განახლდა და საზოგადოებაში დაინერგა საბუღალტრო აღრიცხვის ახალი პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგებას, ათავისუფლებს ბუღალტერს ხელით შრომისაგან, შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის ზუსტად და ოპერატიულად მიღებისა, უზრუნველყოფს საბუღალტრო ბალანსის დროულ შედგენას.

გასულ წელს საზოგადოებაში დანერგილი იქნა ბიუჯეტის დაგეგმარების სისტემა, რომლის მიზანს წარმოადგენს ფინანსების მართვის მოწესრიგება, საშუალებას იძლევა მომდევნო თვის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი დაგეგმილი და განხილული იქნეს დირექტორთა საბჭოზე წინა თვის 25 რიცხვში და დასახული იქნეს გზები მის შესასრულებლად. ასევე შემდეგში გაკეთებული იქნა გეგმა-ფაქტის ანალიზი, აღნიშნულ პროცესში ჩაბმული არის მთელი რიგი სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან თავიანთ მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტზე.

სს „ელმავალმშენებლის“ აქციათა 87%-ის მფლობელი აქციონერის შპს „ლოკო ტრანს კომპანის“ 2017 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით გასული წლების ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილი 17 205 000 (ჩვიდმეტი მილიონ ორასხუთი ათასი) ლარი განაწილებული იქნა დივიდენდების სახით თითოეული აქციონერის წილის პირდაპირ პროპორციულად, კერძოდ:

1. საქართველოს სახელმწიფო (12,76488% - 6465650 აქცია) შესაბამისად 2 196 197,60 (ორი მილიონ ასოთხმოცდათექვსმეტი ათას ასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი და 60 თეთრი.
2. შპს „ლოკო ტრანს კომპანი“ (87% - 44 118 535 აქცია), შესაბამისად 14 968 350 (თოთხმეტი მილიონ ცხრაას სამოცდარვა ათას სამას ორმოცდათი) ლარი.
3. სხვა აქციონერები (0,23512% - 119 232 აქცია - 2591 აქციონერი) შესაბამისად 40 452,40 (ორმოცი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ლარი და 40 თეთრი. თითოეული აქციონერის 0,33927 ლარის დივიდენდების ანაზღაურება აქციონერებისთვის უნდა განხორციელდეს, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ცხრა თვისა.

ტექნიკური სამსახურების მიერ 2017 წელს, შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების თანახმად გეგმაზომიერი მუშაობა მიმდინარეობდა მაგისტრალური ელმავლების და მისი შემადგენელი დეტალების და კვანძების ტექნიკური ღონის ამაღლებისთვის, კერძოდ:

სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ჩატარებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

1. საქ. რკინიგზაში არსებული ელექტრომაგვლების პარკის 8E1A ელმავლებით შეცვლის ტექნიკურ-ეკონომიური ანგარიშების კორექტირება და გადაცემა, ПКБ ЦТ-ს შენიშვნების გათვალისწინებით (წერილი №AOE-70-05/01 - 001, 11.01.2017წ.);
2. შპს „ხარტრონ-ექსპრესის“ სპეციალისტებთან ერთად ღუზის დენის ჩაზომვების წრედში შეუსაბამოების დადგენის მიზნით სსბ-ს სპეციალისტების მივლინება ბაქოს სალოკომოტივო დეპოში;
3. საქართველოს რკინიგზაში ექსპლუატაციაში მყოფ ელექტრომაგვლებზე ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფში მონაწილეობის მიღება;
4. დენმიმღების T-5 ზედა ჩარჩოს კვანძში კვადრატული პროფილის მილის გამოყენების შესაძლებლობის განხილვა;

5. ელექტრომაგალ ჰK-14- ის მოდერნიზაციაზე ტექნიკური დავალების განხილვა (ინვენტ. № 16280 ЧАО «ЕВРАЗ ЮЖКОКС»):
 - 5.1. რეკომენდაციების, წინადადებების და შენიშვნების წარმოდგენა;
 - 5.2. მოდერნიზაციის დროს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის ჩამონათვალის დამუშავება;
 - 5.3. ელ. მოწყობილობის და აგრეგატების ჩამონათვალის შედგენა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ჰK-14 (ინვ. № 16280) ელმავლიდან;
 - 5.4. ელექტრომაგალის ჰK-14- ის (ინვ. № 16280) მოდერნიზაციისას დამატებით დასაყენებელი მოწყობილობის და აგრეგატების ჩამონათვალის შედგენა;
 - 5.5. ელექტრომაგალ ჰK-14- დან გამოსაყენებელი პნევმატიური მოწყობილობების და აპარატების ჩამონათვალის შედგენა;
 - 5.6. ზემოთ მოყვანილ პუნქტებზე წერილის №AOE-70-05/01 – 015, 24.03.2017 წლის შედგენა და გაგზავნა.
6. შპს ПКБ ЦТ –ს ფილიალის წერილის (№405/ ПКБ ЦТ) შენიშვნების შესაბამისად საქ. რკინიგზის სალოკომოტივო პარკის 8E1A ელექტრომაგალებით შეცვლის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების გადაცემა საქ. რკინიგზაში (წერილი №AOE-70-05/01 -21-22, 11.04.2017წ.);
7. სამანევრო თბომავლის - ЧМЭ-3 ქარხანაში კაპიტალური რემონტის ჩატარების შესაძლებლობის განხილვაში მონაწილეობის მიღება;
8. ხარისხის სამსახურში სერტიფიცირების დოკუმენტაციის მომზადება და გადაცემა;
 - 8.1. ВЛ11М/6 – ელექტრომაგალის მიღება-ჩაბარების გამოცდების პროგრამა და მეთოდოკა;
 - 8.2. ელ. აპარატებზე БВП-5-02; БК-78Т; ПК-121 დოკუმენტები:
 - მიღება-ჩაბარების გამოცდების პროგრამა და მეთოდოკა;
 - პერიოდული გამოცდების ოქმები;
 - გამოცდებში მონაწილე პირების სია;
 - გამოცდების ჩატარებისათვის სტენდების და ხელსაწყოების ჩამონათვალი.
9. ვლ-10 და ვლ-11 ელმავლების ტექნიკურ პირობებში, ПКБ ЦТ –ს მოთხოვნის შესაბამისად ცვლილებების გაფორმება რემონტაშორის გარბენებზე (სნკ 120-17, სნკ 119-17);
10. სატვირთო ნახევარვაგონის წარმოებაში ათვისების და დამზადების საკითხზე საზოგადოების ტექნოლოგიურ და ფინანსურ სამსახურებთან ტექნიკურ- ეკონომიური დასაბუთების დამუშავება;
11. წარმოებაში თვითმავალი 5 ტ. ტვირთამწეობის ურიკის ათვისების საკითხზე ტექნოლოგიურ და ფინანსურ სამსახურებთან ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების დამუშავება;
12. ელექტრომაგალ 8E1A-სთვის ვენტილიატორის ბორბლის ამძრავის სამფაზა სინქრონული ძრავის (ტიპი АНЭМ 225) შერჩევის საკითხზე, ამ ძრავების დამამზადებელთან (ООО «ТД Русэлпром») ტექნიკური საკითხების შეთანხმება;
13. ВЛ11М/6 (8E1) და სერიული ელექტრომაგალის ВЛ11М/6 პროექტორების საკითხებზე შპს „სსკ ხარტრონ-ექსპრესის“ (ხარკოვი უკრაინა) და შპს

- „ჰორიზონტთან“ (ეკატერინბურგი, რუსეთი) თათბირის ჩატარება (21÷25 აგვისტო);
14. ВЛ11М/6 (8Е1) ელექტრომაგვლის საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის დამუშავების დამთავრების გეგმა-გრაფიკის დამუშავება და დამტკიცება;
 15. ВЛ 11М/6 (8Е1) ელექტრომაგვლის საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის დამუშავება გეგმა-გრაფიკის მიხედვით 2017 წელზე 95%;
 16. სერიულ ელექტრომაგვალ ВЛ 11М/6-ზე ცვლილების (სსბ-01-121-17) გაფორმება სტატიური გარდამსახების კომპლექტის შემადგენლობის ცვლილებების და მოდერნიზაციის საკითხზე;
 17. ელექტრომაგვალ ВЛ 11М/6 (8Е1) -ის სხმული დეტალების და ტვიფრებით დასამზადებელ დეტალებზე ჩამონათვალის შედგენა და მთავარ ტექნოლოგზე გადაცემა (АОЕ-70-05/01 -78, 03.10.2017წ.);
 18. „უკრზალიზნიცის“ ინჟინერიის და ტექნიკური უზრუნველყოფის დირექტორის სახელზე, ВЛ 11М/6 ელმაგვლის სერიის აღნიშვნის 8Е1 აღნიშვნით შესაცვლელად, ცვლილების პროექტის და წერილის მოზადება;
 19. თათბირების გადაწყვეტილებების შესრულების ვადებზე შპს «НПП Хартрон-Экспресс ЛТД» და შპს «Горизонт» -ზე წერილების მომზადება (АОЕ-70-05/01 -85, 11.10.2017წ.; АОЕ-70-05/01 -95, 01.11.2017წ.; АОЕ-70-05/01 -96, 01.11.2017წ.; АОЕ-70-05/01 -106, 22.11.2017წ.);
 20. შპს «НПП Хартрон-Экспресс ЛТД» -თან მოწყობილობებზე ტექნიკური დავალების შეთანხმება;
 - მემანქანის ელექტრონულ კონტროლერზე;
 - სახანძრო სიგნალიზაციის ავტომატურ სისტემაზე და ხანძარმქრობ სისტემაზე;
 - მართვის და დიაგნოსტიკის (МСУД) მრავალფუნქციურ მართვის სისტემაზე;
 21. შპს «Горизонт» -თან ტექნიკური დავალების შეთანხმება;
 - ელექტრომაგვალ ВЛ 11М/6-ის სტატიური გარდამსახების კომპლექტზე ტექნიკური დავალების შეთანხმება (შეთანხმების ფურცელი არ მიგვიღია);
 22. ქ. აპატივში (რუსეთი) ასინქრონული ამძრავით ელექტრომაგვლების დამზადების და მიწოდების შესაძლებლობის საკითხზე და ВЛ15-ის გაორმაგებული პნევმატური კონტაქტორების (ПК-005) ხარისხის საკითხების განხილვისთვის გენერალური კონსტრუქტორის მივლინება;
 23. საქ. რკინიგზის სალოკომოტივო პარკის 8Е1А ელმაგვლებით შეცვლისათვის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების კორექტირება და გადაცემა (02.11.2017წ.; 29.12.2017წ.)

ტექნიკურ დირექტორს დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში ჩატარებული მუშაობის ანალიზი:

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით ს.ს. „ელმაგვლმშენებლის“ საწარმოო მოცულობების შესრულებაზე ენერგეტიკული რესურსების ხარჯებმა შეადგინეს:

ელ. ენერგია – 1 361 880 კვტ. ანუ 176 784.58 ლარი.
 წყალი – 21 170 მ³ ანუ 79 122.77 ლარი.

ბუნებრივი გაზი – 92 878მ³ ანუ 59 032.33 ლარი.
სასტუმროს შენახვაზე დახარჯულია:
ელ. ენერგია – 41 110კვტ. ანუ 5 341.18 ლარი.
წყალი – 1 385მ³ ანუ 5 182.56 ლარი.
ბუნებრივი გაზი – 30 068მ³ ანუ 19 111,01 ლარი.

მომავალ სეზონზე გათბობისათვის აუცილებელი შემუშავდეს სტანდარტული ტიპის გამათბობლების ეფექტური და უსაფრთხო პროექტი, დამზადდეს და დამონტაჟდეს საამქროებში წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, რაც მოგვცემს ბუნებრივი აირის ხარჯვაზე ეკონომიას და კონტროლის საშუალებას.

ტექნოლოგიურობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ღუზების დახვევის უბანზე №2 ელ სამანქანო საამქროში მოეწყოს გათბობა, ბუნებრივ აირზე მომუშავე ქვების შერჩევით.

მთავარი ტექნოლოგის სამსახურის მიერ 2017 წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1. დაპროექტდა 6 დასახელების ტექნოლოგიური აღჭურვილობა (ასაგროვებელ-შესადუღებელი სტენდი –3; შესადუღებელი სამარჯვი – 3);
2. დამუშავდა 65 ტექნოლოგიური პროცესი კაპიტალურ შეკეთებაზე, მათ შორის:
 - თბომავლის 4M3 ძირითად კვანძებზე – 22
 - მაგისტრალური ელმავლის ВЛ-10; ВЛ-11 ძირითად კვანძებზე 43
3. დამუშავდა 12 ტექნოლოგიური დავალება აღჭურვილობის პროექტირებისათვის.
4. საამქროების გადმოტანასთან დაკავშირებით შედგენილია ტექნოლოგიური მოწყობილობების განლაგების 6 პროექტი (საამქრო №9; №8; №13; №12; №14; სატვირთო ვაგონის ასაგროვებელი უბანი საამქრო №4-ში)
5. მომზადდა 2 ტექნიკური მითითება.
6. მომზადდა 2 განკარგულება.
7. მომზადდა 4 ბრძანების პროექტი.
8. მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია ელექტრული მანქანების კაპიტალური რემონტის უფლების მოსაპოვებლად.
9. მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია პროდუქციის კაპიტალური შეკეთების უფლებების გაფართოებისათვის.
10. განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო წვევის აგრეგატის ОПЭ1АМ აღწერა-მიღებაში შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებით. სისტემატიურ კონტროლს უწევს წვევის აგრეგატის კაპიტალურ შეკეთებას.
11. ახალი ელმავლების 8E1A და 8E1 (ВЛ-11М/6 №514) მშენებლობასთან დაკავშირებით მთავარი ტექნოლოგის განყოფილებაში ტექნოლოგიურობაზე შესათანხმებლად და სამარშრუტო სპეციფიკაციების დასამუშავებლად შემოვიდა 178 დასახელების კვანძი და 671 დეტალი (8E1A –ზე 23 კვანძი და 134 დეტალი; 8E1-ზე 155 კვანძი, 537 დეტალი).
12. დამუშავდა სამარშრუტო სპეციფიკაციები და გაანგარიშებულია მასალების ხარჯვის ნორმები 68 კვანძზე და აგრეგატზე.

13. გაფორმდა საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის ცვლილებები 48 დასახელების კვანძზე.
14. დამუშავდა წარმოების მომზადების გრაფიკის პროექტი ახალი ელმავლის 8E1-ის მშენებლობასთან დაკავშირებით.
15. ხარისხის გაუმჯობესების 2017 წლის ღონისძიებების დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით მთავარი ტექნოლოგის სამსახურის უშუალო მონაწილეობით უნდა შესრულებულიყო 44 ღონისძიება.
ფაქტიურად შესრულდა 19 ღონისძიება.
ნაწილობრივ შესრულდა 11 ღონისძიება (ბოლომდე არ შესრულდა საწარმოო პროცესების დროებითი შეჩერების გამო).
არ შესრულებულა 14 ღონისძიება (შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია – დაუფინანსებლობა და საწარმოო პროცესების დროებითი შეჩერება).
16. განყოფილება მონაწილეობას ღებულობდა გარე შეკვეთების დამზადების უზრუნველყოფაში და ახორციელებდა ტექნოლოგიურ ზედამხედველობას მაგისტრალური ელმავლების და მისი ცალკეული კვანძების და აგრეგატების კაპიტალურ შეკეთებაზე.
17. განყოფილების 3 თანამშრომელი 2017 წლის სექტემბრიდან მუშაობს სსბ-ში და მონაწილეობას ღებულობს ახალი ელმავლის 8E1-ის საექიპაჟო ნაწილების კონსტრუქციაში.

P.S. 2017 წელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო განყოფილება არ მუშაობდა სრული დატვირთვით. განყოფილების ფაქტიურმა დატვირთვამ 2017 წელს საშუალოდ შეადგინა 17,7% - საშუალოდ ყოველთვიურად სამუშაოზე გამოძახებული იყო ≈ 7 თანამშრომელი.

საწარმოო ფონდების მდგომარეობა

2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით ბალანსზე რიცხული 2379 ერთ. ტექნოლოგიური მოწყობილობიდან 1284 ერთ. მექანიკური მოწყობილობაა, ხოლო 1095 ერთ. ელექტრული მოწყობილობაა.
ძირითადი მოწყობილობების 95% – 40 წელზე მეტისაა.
წარმოების ძირითად საამქროებში ირიცხება ტექ. მოწყობილობების 903 ერთეული, ხოლო დამხმარე საამქროებში – 381 ერთეული.
დანადგარების პარკის აღდგენა და კაპიტალური რემონტი

საამქრო №11(12)

2017 წლის განმავლობაში №11 საამქროსთვის დაგეგმილი იყო 32 ერთეული დანადგარის შეკეთება – მოცულობით 20436.00 ლარი.
ფაქტიურად შესრულდა 22 დანადგარის რემონტი – მოცულობით 13548.00ლ.
ელ. ხიდური ამწეების მომსახურეობა – მოცულობით 1200 ლარი.
JIP-ის უბანზე ჩარხების მომსახურეობა – მოცულობით 596 ლარი.
გაუთვალისწინებელი სამუშაოები – მოცულობით 9000 ლარი.
ძრავების შეკეთება – მოცულობით 2000ლ.
ცვპ და მ/ძ –ის ქვესადგურების მომსახურეობა – მოცულობით 10800 ლარი.
არაგეგმიური სამუშაოები №11 (მექანიკური) – მოცულობით 25914 ლარი.
არაგეგმიური სამუშაოები №11 (ელექტრული) – მოცულობით 19428 ლარი.

№12 საამქროს გადმოტანა №11 საამქროს ტერიტორიაზე – მოცულობით 5829 ლარი, აქედან:

12 ერთეული დანადგარის გადმოტანა – მოცულობით 3289 ლარი;

45 ერთეული კარადა, სტელაჟი და ღუმელები – მოცულობით 2250 ლარი;

5% გაუთვალ. სამუშაოები – მოცულობით 290 ლარი.

საამქრო №9

2017 წელს №9 ინსტრუმენტალური საამქროს მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

– დამზადდა 32 დასახელების ტექნოლოგიური აღჭურვილობა 634 ერთეულის რაოდენობით, მათ შორის:

- მოწყობილობები (ПР, ИВ) - 22 ერთეული.

- ინსტრუმენტები (ИМ, МИ) – 43 ერთეული.

კაპიტალური შეკეთება ჩატარებულია 32 დასახელების ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე, რაოდენობით 496 ცალზე.

დამზადდა ელმავლების 6 დასახელების 200 ერთეული დეტალი.

საამქრო №13

2017 წელს ჩატარდა საწარმოო კორპუსების, ადმინისტრაციული და სამეურნეო ნაგებობების შეკეთება, რომლის ხარჯმაც შეადგინა 70 417 ლარი.

ჩატარებული სამუშაოები	2017წ.	2016წ.
გარე ორგანიზაციების მიერ	-----	76 767 ლარი
საკუთარი ძალებით	70 417 ლარი	231 870 ლარი
საერთო თანხა	70 417 ლარი	308 637 ლარი

დემონტაჟი ჩატარდა №15 საამქროს, მოეწყო 3 ავტოფარეხი №15 საამქროსთვის;

გაიწმინდა და შეკეთდა სახურავები საკომპრესორო სადგურზე და სასადილოზე;

ნაწილობრივი გადახურვის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ საწარმოო კორპუსებს:

კორპუსი №1 – საამქრო №1 – 380მ²; №2 – 280მ²;

კორპუსი №3 – საამქრო №4 – 630მ²; №39; – 300მ²;

კორპუსი №2 – საამქრო №3; – 660მ²

№5 კორპუსი – საამქრო №11; – 450მ²

სასაწყობო კორპუსი №3; – 260მ²

ცენტრალურ ლაბორატორიაში შეკეთდა დაზიანებული იატაკი;

სსბ-ს მექანიკური უბანზე შეკეთდა იატაკი და დაზიანებული სახურავი;

დამზადდა სათადარიგო ნაწილების გასაგზავნად შესაფუთი ყუთები;

საამქრო №14

შესრულდა 169 ერთეული არაგეგმიური და ავარიული სამუშაო, რამაც მოცულობაში შეადგინა – 19425.00 ლარი.

შრომის დაცვა

მუშაობის პერიოდში ტარდებოდა ყოველდღიური შემოვლები საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებში და საზოგადოების ტერიტორიაზე, რათა დროულად ყოფილიყო გამოვლენილი და აღმოფხვრილი მუშაობის დროს წარმოქმნილი ისეთი დარღვევები, რასაც შესაძლოა გამოეწვია უბედური შემთხვევა და რომელიც ეწინააღმდეგება სამრეწველო უსაფრთხოების და ეკოლოგიის ინსტრუქციებს.

შრომის დაცვის ღონისძიებათა დაცვის მიზნით 2017 წლის განმავლობაში შემოტანილი იქნა:

– სპეც. ფეხსაცმელი(ჩექმა-ბოტი) ----- 310,17 ლარი;

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

– ხელთათმანები ----- 669,14 ლარი ;

– რესპირატორი PIII ----- 25,42 ლარი;

საპონი და სხვა ჰიგიენური დამცავი საშუალებები:

– საპონი -----76,27 ლარი;

– შრომის უენარობის ფურცლის საფუძველზე სულ დაიხარჯა ---- 43949,84 ლარი.

– საწარმოო ტრავმა 2017წელს არ მომხდარა.

– მომზადდა სამრეწველო ნარჩენების 2017-2018 წლის მართვის გეგმა და წარდგენილი იქნა საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ;

ხელშეკრულება დაიდო სამრეწველო ნარჩენის გატანაზე შპს „მედიკალტექნოლოგთან“;

– მომზადდა ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში;

– ხელშეკრულება დაიდო შპს „ELPLUS“-თან სახანძრო ცეცხლმაქრის დამუხტვასთან დაკავშირებით.

ხარისხის სამსახურის მირ ჩატარებული სამუშაოების ანალიზი:

2017 წლის განმავლობაში სს „ელმავალმშენებელში“ ჩატარებულია რიგი სამუშაოებისა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

გენერალური დირექტორის 2016 წლის 22 დეკემბრის № 87 ბრძანებით დამტკიცებული იყო 2017 წლის პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. ასევე დამუშავებული და დამტკიცებული იქნა ხარისხის გაუმჯობესების რიგი ღონისძიებები, ისო 9001:2015-ის გარე აუდიტის, შიდა აუდიტის და პროდუქციის სერტიფიკაციის ჩატარების საფუძველზე. მთლიანად, 2017 წელს დაგეგმილი იყო 129 მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიება ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროცენტების განსახილველად, დეფექტოსკოპიის უბნების მოსაწყობად, ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად ცალკეული დეტალებისა და კვანძების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის დროს. დაგეგმილი ღო-

ნისძებებიდან სრულად შესრულებულია 70 ღონისძიება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქარხნის მუშაობის შეჩერების და ფინანსური სიძნელეების გამო გეგმა-გრაფიკიდან ამოღებულია 7 ღონისძიება, გადატანილია მომდევნო წელში 34 ღონისძიება, ნაწილობრივ შესრულებულია 18 ღონისძიება.

- სერტიფიცირებული და დეკლარირებულია რუსეთის და უკრაინის რკინიგზის სერტიფიცირების რეგისტრში მაგისტრალური ელმავლები და რიგი ძირითადი კვანძები. 2018 წლისთვის განმეორებით სერტიფიკაციას ექვემდებარება 22 დასახელების პროდუქცია, სერტიფიკატის ვადის გასვლის გამო;
- საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად აქტუალიზებულია: საზოგადოების ქვედანაყოფის დებულება - 5 დასახელება; პროცესების აღმწერი დოკუმენტები - 12 დასახელება; საზოგადოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების თანამდებობრივი ინსტრუქციები; გადამუშავდა საამქროების მუშების საკვალიფიკაციო ინსტრუქციები;
- ხმს-ს შიდა აუდიტორებთან ჩატარდა სემინარები საერთაშორისო სტანდარტ ISO9001:2015-ის სწავლებაზე;
- ჩატარდა საქმეების პერიოდული შემოწმება;
- კორექტირება ჩატარდა ხმს-ის შიდა აუდიტის სამწლიან გეგმას;
- “ხარისხის სახელმძღვანელოში” ნდ-2-20-01-R და “ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობის დებულებაში” ნდ-2-20-02 –R შეტანილ იქნა ცვლილებები პერიოდული შემოწმების თანახმად;
- 2017 წელს დაგეგმილი იყო 58 შიდა აუდიტის ჩატარება 62 ქვედანაყოფში, ჩატარდა 37, საზოგადოების მუშაობის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერების გამო, 21 აუდიტი გადტანილია 2018 წელს; ჩატარებული აუდიტების შედეგად შედგენილია 42 აქტი;
- საერთაშორისო სტანდარტ ISO IEC 17025-ს მოთხოვნათა შესაბამისად აკრედიტებულია ცენტრალური ლაბორატორია, მეტროლოგიური ლაბორატორია და საიზოლაციო მასალების ლაბორატორია;
- საერთაშორისო სტანდარტ ISO9001:2015-ის მიხედვით სერტიფიცირებულია მაგისტრალური ელმავლების და მათი შემადგენელი ნაწილების წარმოება, ელმავლების ყველა სახის რემონტი და მოდერნიზაცია; ელმავლების მუშაობის ვადის გაგრძელების და სერვისული მომსახურეობის წარმოების პროცესები;
- მზადდება მასალები ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 2017 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით ანალიზის ჩასატარებლად;
- ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით ჩატარდა საზოგადოების ექსპლუატაციაში მყოფი მზომი საშუალებების შემოწმება და დაკალიბრება (გრაფიკების შესრულება ხორციელდებოდა ვადების დარღვევით, ქარხნის პერიოდულად, გაჩერების გამო);

- ჩატარდა გამოსაცდელი სტენდების ატესტაცია გეგმა-გრაფიკის მიხედვით;
- ყველა საიზოლაციო მასალა შეიცვალა კომპანია „ელინარის“ წარმოების მასალებით.

გასული 2017 წლის განმავლობაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის სექტორის მიერ გაწეული იქნა შემდეგი მუშაობა:

1. მომზადდა დოკუმენტაცია არაგემიური შემოწმებებისათვის ”ანგარიში დიაგნოსტიკური აუდიტის შესახებ.”
2. ჩატარდა არაგემიური აუდიტი და შედგენილი იქნა ”ანგარიში დიაგნოსტიკური აუდიტის შესახებ.”
3. შეგროვდა და გადამუშავდა, ქვედანაყოფებიდან მიღებული მონაცემები (პროცესების ანალიზი), HD-2-20-07-R –ის თანახმად, გამოიცა პროექტი “ხმს-ს ანალიზის ანგარიში” სამი წლის ხმს-ს მუშაობის ანალიზის მიხედვით გენ. დირექტორთან ყოველწლიური თათბირის ჩატარების უზრუნველსაყოფად სს “ელმავალმშენებლის” უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან;
4. უზრუნველყოფილ იქნა, ხმს-ს შიდა აუდიტის ჩატარება საზოგადოების ქვედანაყოფებში 2017 წლისთვის გენ. დირექტორის მიერ დამტკიცებული, “ხმს-ს შიდა შემოწმებების სამწლიანი გეგმის” თანახმად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქარხნის მუშაობის დროებითი შეჩერების გამო რიგ ქვედანაყოფებში შიდა აუდიტი გადატანილი იქნა მომდევნო წლისთვის;
5. განხორციელდა პერიოდული შემოწმების ჩატარება და ცვლილებების შეტანა სისტემურ პროცედურებში და ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის სექტორის სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში;
6. მომზადდა დოკუმენტაცია გარე გემიური აუდიტისთვის;

ცენტრალურ ლაბორატორიაში ჩატარებულია მექანიკური და ქიმიური შემოწმებები და ანალიზები ქვემოთ მოყვანილ დეტალებზე, მასალასა და ნედლეულზე:

1. სხვადასხვა სახის ზეთები და მასალები – 31 ერთეული;
2. სხვა და სხვა სახის ფოლადი - 17 ერთეული;
3. სხვა და სხვა სახის სხმული – 15 ერთეული;
4. სხვა და სხვა სახის სპილენძი – 19 ერთეული;
5. ულტრაბერითი და მაგნიტურ-ფხვნილოვანი მეთოდით დეტალების და კვანძების შემოწმება – 202 ერთეული;

6. გამოცდა გაგლეჯვაზე, გაწელვაზე და სიმტკიცეზე - 17 ერთეული;

7. მინარჩილის ნიმუშების შემოწმება – 9 ერთეული.

2017 წელს მთავარი მეტროლოგიის განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარდა:

- 37 ერთეული სანიმუშო გაზომვის საშუალების დაკალიბრება–სტანდარტიზაციის, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ნაციონალური სააგენტოს, აგრეთვე ღია საზოგადოება „მეტროლოგიის“ მიერ თანახმად გეგმა-გრაფიკისა და ხელშეკრულებების საფუძველზე;
- მუშა გაზომვის საშუალებების დაკალიბრება საამქროების მიხედვით თანახმად დაკალიბრების წლიური გეგმა-გრაფიკისა, 95 კუთხურ-ხაზობრივი უნივერსალური გაზომვის საშუალებები, ხისტი (სპეც. თარგები) და უნივერსალური – 35 ერთეული, ელექტრული გამზომი საშუალებები – 62 ერთეული, თბოტექნიკური გამზომი საშუალებები – 54 ერთეული და სხვადასხვა – 12 ერთეული;
- ელმავალზე დასამონტაჟებელი გაზომვის საშუალებების შემოსვლის კონტროლი (ამპერმეტრები და ვოლტმეტრები – 32 ერთეული, მანომეტრები – 21 ერთეული);
- პოტენციომეტრებზე დიაგრამების შეცვლა (საამქრო №2, №3, №7 №39);
- ელექტრო და თბოტექნიკური გაზომვის საშუალებების შეკეთება – 14 ერთეული;
- შტანგენ ინსტრუმენტების მცირე შეკეთება – 7 ერთეული;
- გამოსაცდელი სტენდებისა და მოწყობილობების გამართვა და მუშაობის კონტროლი (საამქრო №2, №3, №7, №39);
- წარმოებაში არსებული გამოსაცდელი სტენდების პერიოდული ატესტაცია;
- ჩატარდა ს.ს „ელმავალმშენებლის“ ქვედანაყოფებში არსებული სასწორების დაკალიბრება და შეკეთება;
- დამუშავდა და დამტკიცების პროცესშია სანიმუშო და ყველა სხვა მზომი საშუალებების დაკალიბრების გრაფიკი 2018 წელზე.

2017 წლის 12 თვის განმავლობაში შემოსული პრეტენზიების, შეტყობინებების და შიდა საქარხნო წუნის ანალიზი

საანგარიშო პერიოდში სს „ელმავალმშენებლის“ მიერ გადატვირთული პროდუქციიდან გარანტიაში იყო: 1) ელმავლები – 21 ერთეული; 2) ელმავლების სათადარიგო ნაწილები; ელექტრული მანქანები – 551 ერთეული (ელმავლებზე დამონტაჟებულის ჩათვლით), მათ შორის: წვეის ძრავები ТЛ-2к1; ТЛ-2к1Н1 - 361 ერთეული; მორ-

კომპრესორი ТЛ-122; НБ-431 - 77 ერთეული; მობრ-ვენტილიატორი - 87 ერთეული და გარდამსახი - 26 ერთეული.

საზღვარგარეთ გადატვირთულ საექსპორტო და სარემონტო პროდუქციის უხარისხობის გამო პრეტენზიები არ შემოსულა.

პრეტენზიები შეტყობინების სახით შემოვიდა საქართველოს რკინიგზიდან. სულ შემოვიდა **33 შეტყობინება**. პრეტენზიები შემოვიდა შემდეგ პროდუქციაზე:

- წვეის ძრავის ТЛ-2к1 დაზიანების მიზეზით - 17 შეტყობინება;
- მობრ-ვენტილიატორის ТЛ-110 - 2;
- მობრ კომპრესორის დაზიანების მიზეზით - 1;
- ელექტრული სქემის გაუმართაობის მიზეზით (პარალელურ შეერთებაზე გადასვლის დროს მოქმედებს სწრაფმომქმედი ამომრთველი (БВП-5) - 4;
- სალოკომოტივო სიგნალიზაციის АЛС-МУ - 4;
- გარდამსახის (ინვენტორების) დაზიანების გამო - 3;
- სიჩქარის მაჩვენებელი ბლოკის ДПС-50М - 2.

საზოგადოების მიერ აღიარებულია და აყვანილია აღრიცხვაზე **29 პრეტენზია**. მათ შორის **9 პრეტენზია** (შეტყობინება) შემოვიდა მაკომპლექტებელი ნაწარმის უხარისხობის მიზეზით.

საგარანტიო პერიოდში დაზიანებული ყველა შემოსული რეკლამაციური ელექტრული მანქანის დაშლა განხორციელდა საზოგადოებაში არსებული „მომხმარებელიდან შემოსული პრეტენზიებისა და შეტყობინებების განხილვის“ კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, რის შედეგადაც დადგინდა შეტყობინებების შემოსვლის მიზეზები, კერძოდ:

ელ. მანქანების დაზიანებები (თითქმის ყველა დაზიანება) გამოწვეული იყო ღუზის დაზიანებით: „ღუზის იზოლაციის შესუსტება (დატენიანება); „ღუზის იზოლაციის გარღვევა“; „ღუზისა და მთავარი პოლუსის იზოლაციის გარღვევა“; „ღუზის ხვიათა შორის მოკლე ჩართვა“; „ღუზის საარტახე ლენტის დაზიანება“.

ასევე დაფიქსირდა ღუზის საკისარის დაზიანების - 6 შემთხვევა (3-ადღგენილია ადგილზე).

საანგარიშო პერიოდში საქართველოს რკინიგზიდან წარმოდგენილი საგარანტიო პერიოდში დაზიანებული ელ. მანქანების მოხსნა-დაყენების ხარჯები შეადგენს **17 856.80** ლარს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ელექტრული მანქანების დასამზადებლად საზოგადოებაში გამოიყენება საიზოლაციო მასალა „Н“ კლასის იზოლაციით. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში დამზადებულ საგარანტიო პროდუქციაზე ქარხანაში რემონტის დროს გამოყენებული იყო კომპანია „ელინარის“ მირ წარმოებული „Н“ კლასის საიზოლაციო მასალა, ნაცვლად წინა წლებში გამოყენებული კომპანია

„დიელექტრიკის“ მიერ წარმოებული საიზოლაციო მასალისა, რაც დადებითად აისახა გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. კერძოდ:

2016 წლის საანგარიშო პერიოდში გარანტიაში იმყოფებოდა 557 ელ. მანქანა, დაფიქსირდა დაზიანების 48 (2 - კომპანია „KRISMONE LIMITED“-დან, 46 – საქ. რკინიგზიდან) შემთხვევა, წუნი შეადგენდა 8.62%. აღნიშნულ პერიოდში გამოყენებული იყო კომპანია „დიელექტრიკის“ მიერ წარმოებული საიზოლაციო მასალა, ხოლო 2016 წლის მე-2 ნახევრიდან, როცა წარმოება გადავიდა კომპანია „ელინარის“ საიზოლაციო მასალაზე 2017 წლის საანგარიშო პერიოდში საგარანტიო ელ. მანქანებზე გამოვლენილი წუნი შეადგენს 3.63%.

შიდა საქარხნო წუნის გამო წუნის აქტები არ გაფორმებულა.

შემოსვლის კონტროლის ჩატარებისას, პროდუქციის უხარისხობასთან დაკავშირებით, მომწოდებელთან გაგზავნილი იქნა 2 საპრეტენზიო წერილი და დაწუნებული იქნა 2 დასახელების მასალა და მაკომპლექტებელი ნაწარმის გარკვეული რაოდენობა.

1. საიზოლაციო მასალა „ქარსის ფურცელი ТПл 0,45“ (Слюдопласт элмикаформа ТПл0,45) ნაცვლად შემოსულია მასალა „ქარსის ფურცელი Пл 0,45“ - რაოდენობით 93 კგ. – რომელიც მანუეტების დასამზადებლად გამოუსადეგარია;
2. საიზოლაციო მასალა АСЭИД 400 1200x800x10; АСЭИД 400 1200x800x8 და АСЭИД 400 1200x800x25 - ლაბორატორიული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მასალის მოთხოვნები არ შეესაბამება ГОСТ-ის მოთხოვნებს.

სარემონტო პროდუქციის აღწერისა და სტანდარტიზაციის განყოფილებაში საანგარიშო პერიოდში აღწერის და მასთან დაკავშირებული პროცესების სამუშაოები ჩატარდა სარემონტოდ და პრეტენზიით შემოსულ შემდეგ პროდუქციაზე:

- ✓ 15 ცალ. რეკლამაციურ წევის ძრავზე;
- ✓ 1 ცალ რეკლამაციურ მობრ-ვენტილიატორზე;
- ✓ 1 ცალ რეკლამაციურ მობრ-კომპრესორზე;
- ✓ 12 ცალ სომხეთში გასაგზავნ სარემონტო წევის ძრავზე;
- ✓ 5 ცალ საქართველოს რკინიგზაში გასაგზავნ სარემონტო მობრ-ვენტილიატორზე;
- ✓ 6 ცალ საქართველოს რკინიგზაში გასაგზავნ სარემონტო მობრ-კომპრესორზე;
- ✓ 10 ცალ— სარემონტო ელ. მანქანების კოჭების და გრაგნილების კომპლექტზე;
- ✓ 1 ცალ დნეპროპეტროვსკის წევის აგრეგატზე ОПЭ-1АМ საქ. №109;
- ✓ ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტაციის და პროცედურის აქტუალიზაცია


2017 წლის განმავლობაში სტანდარტიზაციისა და ნორმა-კონტროლის სექტორში შემოწმებულ იქნა 755 A4 ფორმატი;
 აქედან კონსტრუქტორების 555 A4, ტექნოლოგების 200 A4.
 შესასწორებლად დაბრუნებულ იქნა 52 A4 ფორმატი;
 აქედან კონსტრუქტორების 48 A4, ტექნოლოგების 4 A4;
 დაინერგა 2 ტექნიკური პირობა (TY);
 დამუშავდა ცვლილებები - 2 ერთეული სახელ. სტანდარტში.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურის მიერ 2017 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამეურნეო საქმიანობის ანალიზი:

➤ **პერსონალის და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება**

კადრების აღრიცხვის სექტორი


2017 წლის 25 დეკემბრის მონაცემებით ს.ს. „ელმავალმშენებელში“ ირიცხება საერთო რაოდენობით 884 მუშაკი.




2017 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 8 მუშაკს.

- ა) რეჟიმისა და დაცვის სამსახური - 5
- დ) ინჟ. ტექ. პერსონალი - 3


2017 წლის საანგარიშო პერიოდში განთავისუფლებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა - 39 მუშაკი.



2017 წლის მონაცემებით ქარხნის თანამშრომელთა ასაკი გამოხატულია შემდეგ გრაფიკში



2017 წლის მონაცემებით ქარხნის თანამშრომელთა გენდერული თანაფარდობა გამოხატულია შემდეგი გრაფიკით



2017 წელს სულ დაკმაყოფილდა 74 განცხადება მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. მათ შორის 25 განცხადება - გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 28 განცხადება - თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და 23 განცხადება - ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. გაცემული დახმარებების ჯამურმა თანხამ შეადგინა 15300 (თხუთმეტი ათას სამასი) ლარი.

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება

2017 წლის განმავლობაში განყოფილებამ იურიდიული ხასიათის სამუშაოები გასწია სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

1. შემუშავდა, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა სახის მომსახურების შესახებ;
2. შეიქმნა და გაფორმდა ბრძანებათა პროექტები მიმდინარე საკითხებზე;
3. ივნისის თვიდან განახლდა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა სს „ჯიპიაი ჰოლდინგთან“, განახლდა დაზღვეულ პირთა სიები, ყოველთვიურად კონტროლდება ცვლილებები; ასევე სისტემატიურ კონტროლს ვახორციელებთ მომსახურების ხარისხზე;
4. პდსუ განყოფილების მიერ მატერიალური დახმარების კომისიაზე განსახილველად გატანილი და დაკმაყოფილებულ იქნა 74 განცხადება მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ;
5. მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და გასხვისდა სს „ელმავალშენებლის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და სარკინიგზო ჩიხის ნაწილი; სისტემატიურ კონტროლს ვუწევთ შესყიდული მიწის ნაკვეთების გადაფორმებას აღნიშნულ პირებზე საჯარო რეესტრში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6. სს „ელმავალშენებლის“ საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნა და ნოტარიულად დამოწმდა არაერთი მინდობილობა;

7. შესაბამისი დებულებების, ინსტრუქციების, ბრძანებებისა თუ განკარგულებების შემუშავების გზით, მოწესრიგდა და დარეგულირდა სს „ელმავალმშენებლის“ მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი შიდა პრობლემატური საკითხი;
8. მონაწილეობას ვიღებთ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი თანამშრომლის, ლ. მაისურაძის სარჩელის საფუძველზე წარმოებულ შრომით დავაში;
9. აქტიურად ვმონაწილეობთ სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „ელმავალმშენებელს“ შორის წარმოებულ სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში;
10. სისტემატურად ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე სახის კანონშესაბამო სს „ელმავალმშენებლის“ მიმდინარე საქმიანობაში.

➤ *მართვის ავტომატიზირებული სისტემების და კავშირგაბმულობის განყოფილება*

მართვის ავტომატიზირებული სისტემებისა და კავშირგაბმულობის განყოფილება 2017 წლის განმავლობაში მუშაობდა გრაფიკით დადგენილი წესით, რეგულარულად ასრულებდა ყველა შესასრულებელ სამუშაოს - ქსელისა და კომპიუტერული სისტემების ინსტალაცია, პროგრამული უზრუნველყოფის, ანტივირუსული პაკეტების და ა.შ. მუდმივად განახლება, კომპიუტერული ტექნიკის გაძლიერება აპარატურული ნაწილებით, სისტემის გადაყენება მაქსიმალურად სწრაფად და სამუშაო ადგილზე დროული გამართვა, პროგრამა 1C-ში თვითოეული მომხმარებლისთვის დახმარება და ა. შ.

განყოფილებამ 2017 წელს მოახდინა მთლიანი კომპიუტერული პარკის აღწერა-შემოწმება. კომპიუტერული ტექნიკის ძირითადი ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას ეტაპობრივად.

პირველ რიგში საჭიროა მოხდეს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს და მთავარი ტექნოლოგის კომპიუტერული ტექნიკის რეაბილიტაცია.

სსბ-ს კომპიუტერების ტექნიკური რევიზიის შედეგად დადგინდა, რომ

1. არსებული კომპიუტერებიდან მხოლოდ 7 კომპიუტერი აკმაყოფილებს Autocad 2016 და Solidworks 2016 სამუშაოდ საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს.

2. 19 კომპიუტერი საჭიროებს მოდერნიზაციას რათა დააკმაყოფილოს მინიმალური ტექნიკური მოთხოვნილებები.

3. 9 კომპიუტერი არ ექვემდებარება მოდერნიზაციას, მაგრამ მათი ექსპლუატაცია შესაძლებელია MS Office და 1C8-ში სამუშაოდ .

4. 5 კომპიუტერი არ ექვემდებარება მოდერნიზაციას და ვერ აკმაყოფილებს იმ ელემენტარულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს რაც საჭიროა დასახული ამოცანების შესასრულებლად .

შესაძლებელია კომპიუტერული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიყოს 2 ეტაპად:

არსებული 19 კომპიუტერის ოპტიმიზაცია დამატებითი ნაწილების უზრუნველყოფით. ოპტიმიზაციის ჯამური თანხა შეადგენს 8400 ლარს. სამუშაოების შესრულების პერიოდი 12 სამუშაო დღე. მოდერნიზაციის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სსბ-ს შესაძლებლობა ექნება სრული დატვირთვით გამოიყენოს 26 ერთეული კომპიუტერი Autocad 2016 და Solidworks 2016 სამუშაოდ.

დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, რომლის ჯამური საორიენტაციო ფასი 7 ერთეულზე შეადგენს 17500 ლარს. სამუშაოების შესრულების პერიოდი 30 კალენდარული დღე.

სსბ-ს კომპიუტერების ტექნიკური რევიზიის შედეგად დადგინდა:

1. არსებული კომპიუტერებიდან მხოლოდ 1 კომპიუტერი აკმაყოფილებს Autocad 2016 და Solidworks 2016 სამუშაოდ საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს .

2. 18 კომპიუტერი საჭიროებს მოდერნიზაციას რათა დააკმაყოფილოს მინიმალური ტექნიკური მოთხოვნილებები.

3. 4 კომპიუტერი არ ექვემდებარება მოდერნიზაციას, მაგრამ მათი ექსპლუატაცია შესაძლებელია MS Office და 1C8-ში სამუშაოდ .

4. 9 კომპიუტერი არ ექვემდებარება მოდერნიზაციას და ვერ აკმაყოფილებს იმ ელემენტარულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს რაც საჭიროა დასახული ამოცანების შესასრულებლად.

შესაძლებელია კომპიუტერული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყოს 2 ეტაპად:

არსებული 18 კომპიუტერის ოპტიმიზაცია დამატებითი ნაწილების უზრუნველყოფით. ოპტიმიზაციის ჯამური თანხა შეადგენს 8300 ლარს. სამუშაოების შესრულების პერიოდი 12 სამუშაო დღე. მოდერნიზაციის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სტბ-ს შესაძლებლობა ექნება სრული დატვირთვით გამოიყენოს 19 ერთეული კომპიუტერი Autocad 2016 და Solidworks 2016 სამუშაოდ.

დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, რომლის ჯამური საორიენტაციო ფასი 10 ერთეულზე შეადგენს 25000 ლარს. სამუშაოების შესრულების პერიოდი 30 კალენდარული დღე.

განყოფილებას დავალებული აქვს ქარხნის ავტომატიური შემოსასვლელიდან ინფორმაციის შეგროვება და ანგარიშის წარდგენა ყოველდღიურად დირექციისთვის, რაც სრულდებოდა ყოველდღიურად დროულად.

კავშირგაბმულობის სექტორის ძალისხმევით განხორციელებული იქნა პროექტები, რომლებმაც საგრძნობლად შეამცირა ყოველთვიური ხარჯები. კერძოდ, 2017 წლის გაზაფხულზე კომპანია „მაგთისთან“ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა ფასის შემცირება ინტერნეტ მომსახურებაზე, რომელმაც ჯამში შეადგინა 1300 ლარი ყოველთვიურად. 2017 წლის შემოდგომაზე ისევ იმავე კომპანიასთან განხორციელდა განმეორებითი მოლაპარაკებები ინტერნეტსა და ტელევიზიაზე ფასის კიდევ ერთხელ შემცირების თაობაზე, აქაც მიღწეულ იქნა ფასის შემცირება 600 ლარით. ამასთან ერთად გაიზარდა ჰოსტინგი 2გ/ზ-დან 4 გ/ზ-მდე, სასტუმროს შენობაში გაიზარდა ინტერნეტის სიჩქარე 50 მ/ზ წამიდან - 100 მ/ზ წამში. შემცირდა ტელევიზიის საფასური ყოველ ტელევიზორზე 5 ლარით. საერთო ჯამში 2017 წელს ინტერნეტზე გადასახადი შემცირდა 1900 ლარით ყოველთვიურად.

2017 წელს კავშირგაბმულობის სექტორის დახმარებით და მისი მეთვალყურეობით შესრულდა საკმაოდ დიდი პროექტი, ქარხნის 7 ობიექტზე დამონტაჟდა სახანძრო სიგნალიზაციები და საევაკუაციო მიმართულების მაჩვენებლები., გამოიცვალა ამორტიზებული მაგისტრალური 350 მეტრი 100 წყვილიანი კაბელი მე-3 კორპუსის შენობისათვის, გამოიცვალა 85 მეტრი 100 წყვილიანი კაბელი მე-5 კორპუსის მიმდებარედ და 110 მეტრი 50 წყვილიანი კაბელი მე-2 საამქროს მიმდებარედ.

კავშირგაბმულობის სექტორი 2017 წელს ახორციელებდა საზოგადოებაში არსებული კამერების და სიგნალიზაციის ყოველდღიურ შემოწმებას და აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორებას, ქარხნის ე.წ. ელექტრული გასასვლელის ნორმალური მუშაობის კონტროლს. ასრულებდა სატელეფონო აპარატურის მიმდინარე რემონტებს და სხვა პროფილაქტიკურ სამუშაოებს.

➤ *სამეურნეო განყოფილება*

გამწვანების და დასუფთავების წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 20 701 ლარი.

სამეურნეო განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოებზე საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 37 975 ლარი

	დასახელება	თანხა (ლარი)
1	საკანცელარიო საქონელი და ბლანკები	6679
2	სამეურნეო საქონელი, გამწვანება.	14882
3	ქიმიკატები	1152
4	კონდიციონერების სისტემების შეკეთება	2112
6	საწვავი (გამწვანების მოწყობილობებისთვის)	2668
7	ბეჭდები, შტამპები	350
8	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტალონები	700
	სულ	38975

2017 წლის ბოლოს სს „ელმავალმშენებელში“ არის 4 მოიჯარე და

1 წყლის მომხმარებელი იურიდიული პირი:

№	ორგანიზაციის დასახელება	დაკავებული ფართი	იჯარის თანხა
1	შპს „მობიტელი“	30 მ ² მიწის ფართი	1 050 ლ დღგ-ს ჩათ.
2	შპს „მაგთიკომი“	24 მ ² მიწის ფართი	620 \$ დღგ-ს ჩათ.
3	შპს „ჯეოსელი“	24 მ ² მიწის ფართი	520 \$ დღგ-ს გარეშე
4	შპს „კობი 2009“	92 მ ² მიწის ფართი	325,68 ლ დღგ-ს ჩათ

2017 წლის იჯარის გადასახადმა შეადგინა 53 941 ლარი.

2017 წელს გაფორმდა 9 გარე შეკვეთა საერთო თანხით 31329 ლარი.

➤ საქმისწარმოების სექტორი

2017 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სისტემატურად ხორციელდებოდა საზოგადოების ბრძანებების, განკარგულებების, შიდა და გარეთ გაგზავნილი წერილების, მოხსენებითი ბარათების და ტექნიკური მითითებების რეგისტრაცია და თანამშრომლებისთვის დროულად გადაცემა, მათი ქსელში დროულად განთავსება და ა.შ.

2016 წელს შემუშავებული და ჩაშვებული ქარხნის საქმისწარმოების შიდა ქსელის ახალმა ვერსიამ მნიშვნელოვნად გააძლიერა დოკუმენტბრუნვა საქმისწარმოების სექტორსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

2017 წელს საქმისწარმოების სექტორის მიერ მნიშვნელოვანი და ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი საზოგადოების ნომენკლატურაში, რომელიც დამუშავდა და გამოიცა ახალი რედაქციით. შემცირდა საქმეების რაოდენობა თემატურად გაერთიანების ხარჯზე. შეიქმნა ელექტრონული ჟურნალები, რომლებსაც სტრუქტურული ერთეულები აწარმოებენ სურვილის შემთხვევაში, რამაც შეამცირა მატერიალურად ასლების შენახვის აუცილებლობა.

ცენტრალური არქივის მიერ მუშავდებოდა სტრუქტურული ერთეულების მიერ მიწოდებული ანაწერები, გაიცემოდა საარქივო ცნობები შემოსული წერილების საფუძველზე.

სს „ელმავალმშენებელში“ დაინერგა ISO 9001:2015, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქმისწარმოების სექტორმა. მიმოწერა საზოგადოების ქვედანაყოფებსა და გარე ორგანიზაციებს შორის ხორციელდება საქმისწარმოების სექტორის მეშვეობით, საქმისწარმოების ერთიანი წესების და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნათა დაცვით.

საქმისწარმოებლის მიერ რეგისტრირებულ დოკუმენტთა შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

საქმის დასახელება	რაოდენობა		
	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ბრძანება (საერთო რაოდენობა)	591	385	93
განკარგულება	31	68	19
ოქმი	45	60	4
ტექნიკური მითითება	65	42	3
გარეთ გაგზავნილი წერილები	846	1001	567
გარედან შემოსული წერილები	475	767	654
ანგარიშ-ფაქტურა	1239	1876	774
განცხადებები	3992	4700	2019
შიდა შემოსული წერილები	671	1016	264


➤ სასტუმრო “ალიონი“

სასტუმრო “ალიონის“ საქმიანობა საანგარიშო 2017 წლის პერიოდში ხორციელდებოდა შეუფერხებლად. დამზადდა და შეიცვალა სასტუმროს საქვების დაზიანებული საკვამურის მილი, გაირეცხა ნომრებში არსებული ხალიჩები, მოხდა სასტუმროში არსებული ტრენაჟორების დათვალიერება-შეკეთება, გაიწმინდა საკანალიზაციო მილები.

2017 წლის მანძილზე ჩატარდა შემდეგი ტექნიკური სამუშაოები: წყლისშემრევეების, შლანგების, პლასმასის მილების, მექანიზმების, ასევე ელ. კვანძის სახელოებისა და ელ. ნათურების შეცვლა, ფარდების გარეცხვა, ასევე გამათბობელი რადიატორებისა და მინების გაწმენდა.

ქვევით იხილეთ სასტუმროს წლიური შემოსავლის სტრუქტურული ანალიზი;

2017 წლის ფაქტობრივი შემოსავალი




2017 ოპერაციული შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი

თვე	შემოსავალი	ხარჯი	შედეგი
იანვარი	2900.55	10877.47	-7976.92
თებერვალი	851.67	10610.89	-9759.22
მარტი	2580.49	11126.13	-8545.64
აპრილი	2851.63	9604.06	-6752.43
მაისი	3116.06	8165.17	-5049.11
ივნისი	1864.38	7269.06	-5404.68
ივლისი	1889.81	8470.3	-6580.49
აგვისტო	2419.45	7956.54	-5537.09
სექტემბერი	3076.22	7310.57	-4234.35
ოქტომბერი	2351.68	9533	-7181.32
ნოემბერი	1838.94	8852.14	-7013.2
დეკემბერი	1749.97	9702.09	-7952.12
ჯამი	27490.85	109477.42	-81986.57


*ცხრილის ხარჯში შეყვანილია (პირობითი) სასტუმროს მუდმივი მაცხოვრებლების დანახარჯი, ხოლო შემოსავალში არ არის ასახული.

**არსებული მონაცემების ხარჯში არ არის შეყვანილი სასადილოზე გაწეული სახელფსო დანახარჯები.

2017 წლის ფაქტობრივი ოპერაციული მოგება ზარალის ამსახველი გრაფიკი თვეების მიხედვით



2017 წლის ფაქტობრივი და პირობითი შემოსავლები



2017 ფაქტობრივი და პირობითი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი

თვე	შემოსავალი	ხარჯი	შედეგი
იანვარი	2900.55	10877.47	-7976.92
თებერვალი	7261.67	10610.89	-3349.22
მარტი	10860.49	11126.13	-265.64

აპრილი	12646.63	9604.06	3042.57
მაისი	9616.06	8165.17	1450.89
ივნისი	8749.38	7269.06	1480.32
ივლისი	6539.81	8470.3	-1930.49
აგვისტო	13894.45	7956.54	5937.91
სექტემბერი	10741.22	7310.57	3430.65
ოქტომბერი	11481.68	9533	1948.68
ნოემბერი	16308.94	8852.14	7456.8
დეკემბერი	14309.97	9702.09	4607.88
ჯამი	125310.9	109477.42	15833.43

*ცხრილში შეყვანილია როგორც, (პირობითი) სასტუმროს მუდმივი მაცხოვრებლების დანახარჯი, ასევე პირობითი შემოსავალიც.

2017 წლის ფაქტობრივი და პირობითი მოგება ზარალის ამსახველი გრაფიკი თვეების მიხედვით



უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოები:

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უსაფრთხოების სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული საზოგადოების მატერიალური ფასეულობების მოპარვის მცდელობის, საზოგადოების კუთვნილების, შინაგანაწესის დარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის. ჩატარდა უსაფრთხოების სამსახურის რეორგანიზაცია.

2017 წლის განმავლობაში საზოგადოების ნაწილობრივი (პერიოდულად) მუშაობის გამო, განსაკუთრებით გაძლიერებულად მუშაობდა უსაფრთხოების სამსახური. რიგი მწყობრიდან გამოსული შენობების დანგრევასთან დაკავშირებით, უცხო პირების და ტექნიკის ქარხანაში შემოსვლის აუცილებლობის გამო აგვისტოს თვეში განსაკუთრებით გაძლიერებული იყო დაცვის სამსახურის მუშაობა. ხელმძღვანელობასთან გატარებული ღონისძიებების და პროფილაქტიკური სამუშაოების შედეგად რაიმე სერიოზული დარღვევა არ ყოფილა.

2017 წლის პერსპექტიული სამუშაოების ფაქტიურად არ ქონის გამო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება უსაფრთხოების სამსახურში რეორგანიზაციის შესახებ, კერძოდ: წლის განმავლობაში შემცირებული იქნა ეკონომიური უსაფრთხოების სპეციალისტის, მძღოლი – პირადი მცველის, ყოველ ცვლაში სამი მცველის საშტატო ერთეულები. შემცირება უმტკივნეულოდ ჩატარდა, მაგრამ შემაფერხებელი გარემოებაა კადრების ხშირი გადინება, მცირე ხელფასების გამო. დღეისათვის სამსახურში მუშაობს 41 თანამშრომელი (უფროსი, მოადგილე, 11 კაციანი სამი ცვლა, 2-2 კაცი სამ ცვლაში დაკვირვების პუნქტზე);

მოელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტარდებოდა სამუშაოები შავი და ნაწილობრივ ფერადი ჯართის შეგროვების, გაყიდვის და გატანის პროექტებზე. აღნიშნულ პროცესებს პირადად აკონტოლებდა სამსახურის უფროსი და მოადგილე.

დაცვის განყოფილება მუდმივად აწარმოებს სამუშაოებს ქარხნიდან მატერიალური ფასეულობების მოპარვის მცდელობების აღმოსაფხვრელად. საანგარიშო პერიოდში მრავალჯერ იქნა ჩატარებული შემოწმებები გარე ორგანიზაციების ქარხანაში არსებულ სამუშაო ადგილებზე, ასევე ქარხნის მიმდებარე ორგანიზაციებში. სერიოზული დარღვევა მოელ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა. ანალოგიურად გამკაცრებულია და სისტემატიურად მიდის მუშაობა გამოყოფილ ადგილებზე თამბაქოს მოწვევაზე, შესაბამისი ახსნა განმარტებებით სამუშაოების და შენიშვნების მიცემით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, მიზანმიმართული და შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობდა დელეგაციების, პარტნიორების, სტუმრების მიღების, გადაადგილების თუ გაცილების კონტროლის და დაცვის საკითხებზე.

სს „ელმავალმშენებლის“ ტერიტორიაზე დაცვის სიგნალიზაციის და ვიდეოთვალების არსებობა მნიშვნელოვნად აადვილებს მუშაობას ყველა სახის დარღვევების დროულად და ხარისხიანად გამოვლენის საქმეში, თუმცა ვიდეო სისტემები ყოველწლიურად გამოდიან წყობიდან და კარგავენ აქტუალობას ამ სისტემის მოძველების გამო.

2017 წლის განმავლობაში, ტერიტორიის დაცვის გაუმჯობესებისათვის, გურამიშვილის ქუჩის გასწვრივ მოელ სიგრძეზე და უბნებზე ჩატარებული იქნა სარემონტო სამუშაოები. ელ. სამანქანო საამქროს მიმდებარე გამოიცვალა ვიდეოთვალის კაბელი 600 მეტრზე. მოლიანად ვიდეოთვალის სისტემა მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს, ტერიტორიაზე კამერების გამოცვლიდან დაწყებული, სათვალთვალო პუნქტზე ჩამწერი მოწყობილობების ჩათვლით.

ქარხნის შემოსასვლელში არადამაკმაყოფილებელი მუშაობის და ცვეთის გამო შეცვლას მოითხოვს საშვებით კონტროლის მოწყობილობის მოელი სისტემა (ფაქტიურად ძალიან ცუდად მუშაობს აღნიშნული საკონტროლო გამშვები პუნქტი).

2018 წელს ჩასატარებელია გადაუდებელი სამუშაოები:

1. 8E1A ელექტრომაგლის საკონტრუქტორ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის დამუშავების დამთავრება;
2. საამქროების გამხოლოება ავტონომიური დაწნეხილი ჰაერის მიწოდებით.
3. III კორპუსის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;
4. ენერგო სისტემის რეაბილიტაცია:
 - მაღალი ძაბვის კაბელების მონტაჟი ქვესადგურ „მახათაღან“ ახალი შემოვლითი მიმართულებით, გასხვისებული ტერიტორიების გვერდის ავლით.
 - ახალი ცენტრალური გამანაწილებელი სადგურის (ЦПН) მოწყობა და გაშვება.
5. საჩამომსხმო უბნის გადატანა №16 უბანზე;
6. საიარაღო საამქროს გადატანა №5 კორპუსში;
7. რკინიგზის ღიანდაგის შეცვლა საამწყობო საამქროს პირველ ხაზში (60გრძ/მ);
8. №3 კორპუსის სახურავის კაპ. შეკეთება (3500მ²);
9. №3 კორპუსში მოეწოს შეკუმშული ჰაერის მომარაგების ინდივიდუალური საშუალებებით (25მ³სახრახნი კომპრესორის შეძენა);
10. ამორტიზირებული ტექნოლოგიური აღჭურვილობის (ტვიფრები ცხლად ტვიფრვისთვის, წნევის ქვეშ სხმულებისათვის წნეხ-ფორმები) შეცვლა;
11. ამორტიზირებული შტამპების შეცვლა ИГ- 10 ერთეული;
12. ინსტრუმენტალური საამქროს გადაუდებელი მომარაგება სპეც. მასალით. (ინსტრუმენტალური ფოლადი) ახალი ტექ. აღჭურვილობის დასამზადებლად და არსებულის შესაკეთებლად;
13. №3 და №4 საამქროებში საყოფაცხოვრებო ოთახების მოწყობა;
14. გეგმა-გრაფიკის მიხედვით ტექნოლოგიური მოწყობილობების აღდგენა და შეკეთება;
15. სსბ-ს შენობის გადახურვის შეცვლა;
16. 2ტ. ელექტროკარის შეძენა №11 საამქროსათვის;
17. ელექტროკარის აკუმულატორების 4 კომპლექტის შეძენა;
18. ჰიდრაულიკური წნეხის ინვ.№380 შეკეთება, საამქრო №2;
19. ფრიქციული წნეხის ინვ.№1561 შეკეთება, საამქრო №7;
20. საფანტმტყორცნი მანქანის ინვ.№2280 კაპ. შეკეთება საამქრო №7(8);
21. ჩასატარებელია ქვედანაყოფების შიდა აუდიტი ОსО 9001:2015-ის სამწლიანი გეგმის შესაბამისად;
22. დასამუშავებელი და შესადგენია 2017 წლის ხარისხის მენეჯმენტის ანალიზი, შემდგომში ხელმძღვანელობასთან განხილვით და განხილვის ოქმის შედგენით;
23. შესადგენია და შესათანხმებელია ღია საზოგადოება „მეტროლოგიისა“ და საქართველოს ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ნაციონალურ სააგენტოსთან საზოგადოებაში არსებული მზომი საშუალებების დაკალიბრების გრაფიკი;
24. თებერვლის თვეში შესასრულებელია საზოგადოების ლაბორატორიების (მეტროლოგიის, ცენტრალური, საიზოლაციო მასალების) აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები და აკრედიტაციის ჩატარება საქართველოს აკრედიტაციის ორგანოს მიერ;

25. ცვეთისა და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო ქარხნის შემოსასვლელში სამუშაოზე დაშვების და კონტროლის სისტემა (KPI) ექვემდებარება შეცვლას;
26. სსბ-ში 19 და სტბ-ში 18 კომპიუტერი ექვემდებარება მოდერნიზაციას;
27. საჭიროა სსბ-ში 7 ერთეული და სტბ-ში 10 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

საზოგადოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშა-მოსამსახურეები და ხელმძღვანელები მობილიზებულნი არიან 2018 წლის გალდებულების შესასრულებლად.

გენერალური დირექტორი


დ. გორგოძე

25. ცვეთისა და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო ქარხნის შემოსავლელში სამუშაოზე დაშვების და კონტროლის სისტემა (КПП) ექვემდებარება შეცვლას;
26. სსბ-ში 19 და სტბ-ში 18 კომპიუტერი ექვემდებარება მოდერნიზაციას;
27. საჭიროა სსბ-ში 7 ერთეული და სტბ-ში 10 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

საზოგადოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშა-მოსამსახურეები და ხელმძღვანელები მობილიზებულნი არიან 2018 წლის ვალდებულების შესასრულებლად.

გენერალური დირექტორი



 დ. გორგოძე